# სარბიელი

სპორტული გაზეთი  პარასკევი 24 მაისი 2002 №93 (1615)  ფასი 50 თეთრი




რევაზ ჩხეიძე (ფარქვეშ) და მისი „დინამო“ ბათუმიდან ნაწყენები მოდიან

# ფრთხილად, ეშმაკისაა!

## ბათუმში კალათბურთის მოედანზე იარაღიანი ხალხი შევიდა

საქართველოს 101 ჩემპიონატი

გადამწყვეტ ფაზაში შევიდა მეთერთმეტე საკალათბურთო ოქროსთვის ბრძოლა და მასთან ერთად იმატა ეროვნულის მარად თანმხლებმა სათამაშო თუ თამაშგარე დაძაბულობამაც. შინაურ საკალათბურთო წრეებში მოტრიალეებმა კარგა ხნის წინ აღმოაჩინეს, რომ ბურთის კალათში ჩაგდებასთან ერთად აუცილებელია მსაჯებს უყვირო ან „უკიდურეს შემთხვევაში“ ეკამათო მაინც და ჩვენში ლამის თამაში არ ჩაივლის, მობურთალეებმა ხელ-ფეხის იოგების გარდა ყელისაც არ დაიჭიმონ. რაღა თქმა უნდა, ყვირილის სიხშირე და სიმძლავრე შეხვედრის მნიშვნელობის პირდაპირპროპორციულად იზრდება. ასე რომ, ტრადიციის თანახმად, ისე როგორ იქნებოდა, ფინალს სერიოზული ინციდენტის გარეშე ჩაევლო. „ბასკო“ — „დინამოს“ ფინალური სერიის მეორე მატჩს არც სათამაშო დაძაბულობა აკლდა და არც მსაჯებზე გაწევა, თანაც სტუმარ უკრაინელებზე, იყო კალათბურთელთა და სხვა გარეშე პირთა შორის ფორმიანთა ჩადგომაც. აჭარელმა ძალოვანებმა თავისი საქმე კი შეასრულეს, მაგრამ ვითომ საჭირო იყო ეს აბჯარ-იარაღასხმულებს ეკეთებინათ? დაუწერელი კანონია: იარაღი ეშმაკისაა და სადაც არ გჭირდება, არ უნდა გამოაჩინო. მოგებით კი ბათუმის „ბასკომ“ მოიგო. ერთი ქულით, დიდი წვალებით, ადგილობრივ ქომაგთა ჟრიამულის თანხლებით და სერიაში 2:0 დაწინაურდა.

ბათუმური მატჩის პარალელურად მესამე ადგილისთვის რუსთავის „აზოტსა“ და სტუ-ს შორის ბრძოლამ გაცილებით უშფოთველ გარემოში, მაგრამ არანაკლებ დაძაბულად ჩაიარა. გამარჯვება კვლავ ტექნიკოსებს ერგოთ, ამჯერად გაცილებით დიდი ჯაფის შემდეგ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

# მორჩა კინო

## მიქ მაქარტიმ როი კინს არც მსოფლიო ანახა და არც საქართველო



ირლანდიელი ფეხბურთელი — პირველი, ვისი სახელიც გონებაში გაგიელვებთ, ალბათ, როი კინი იქნება, გიჟმაჟი კაპიტანი, რომელიც დღეისთვის ირლანდიის ნაკრებთან არის გაიგივებული.

გუშინ კი ბრიტანელი ბუქმეიკერები დაფაცურდნენ, ირლანდიელთა მიერ მსოფლიოს თასის მოგების შანსს ერთი ოთხმოცზე თუ აფასებდნენ, ერთი ასამდე შეამცირეს და ეს ამბავი როი კინს უკავშირდება.

ახლა მთავარი — როი კინი ნაკრებიდან გააგდეს და შინ გაისტუმრეს. გუნდის სიმბოლოსა და საუკეთესო ფეხბურთელს მუნდიალის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე რომ მოიშორებს, მართლაც სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონდეს მწვრთნელს.

სამსოფლიოჩემპიონატო შეკრებამდე კინი მანჩესტერელ თანაგუნდელებს დაერია და შავი დღე აყარა, თქვენმა უჯიგრო თამაშმა დაგვტოვა უტიტულოდო და უგუნებობა სანაკრებოდაც გაჰყვა. იაპონურ საიპონში ჩასულმა მაშინვე ყველაფრის დაწუნება დაიწყო, არაფერი ვარგა, სავარჯიშო მოედანიც ავტოსადგომს ჰგავსო. გუშინწინ სამშობლოში დაბრუნებაც გადაწყვიტა, მაგრამ ალექს ფერგიუსონს დაურეკავს და გადააფიქრებინა.

მაგრამ კინს რა მოასვენებდა, გუშინ მთელი გუნდის თანდასწრებით მწვრთნელ მიკ მაკარტის ისეთები უთხრა, თავი გააგდებინა. მაკარტიმ, კინი რაგინდა ვარსკვლავი იყოს, მთავარი წესრიგი არისო. მწვრთნელის გადაწყვეტილებას ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციაც დაეთანხმა.

ამგვარად, მსოფლიოს ჩემპიონატისას ტელეეკრანზე როი კინის ძებნას ნუ შეუდგებით და თუ არაფერი შეიცვალა, ნურც მისი თბილისში ჩამოსვლის იმედი გქონდეთ. ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ხომ ირლანდია საქართველოს მეტოქეა.



საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი
10 ტური

# მილანმა ქართული ფეხბურთი ქიზიყში ჩაიყვანა

ძველი ანაგა. ცენტრალური.
23 მაისი. 17.30 საათი. 4000 მაყურებელი

**მილანი 0:1 ქობულეთი**

0:1 თალაკვაძე (47)
მილანი: ნაყოფია, დიმიტრიშვილი, ტარულაშვილი, ბარამიძე, მეტონიძე, მ. სამხარაძე, მოსიაშვილი, ქალიაშვილი, გამცემლიძე (როსტიაშვილი 86), გოლეთიანი, მედოევი
სათადარიგონი: გრძელიძე, მებონია, ეგაძე, ნოტაური
ქობულეთი: გაბუნია, გეგეშიძე, ბეჟლარ თედორაძე, ოქრომჭრიძე, ლ. ანჯაფარიძე, დ. თალაკვაძე, ყალიჩავა, კვერკველია, ბაბუნაშვილი, ჯ. ბერიძე (ჩაბუნაშვილი 86), კალანდაძე
სათადარიგონი: გოგუა, დ. ჯინჭარაძე, სიხარულიძე, გოგმაჩაძე, ჯინჯიხაძე
გაფრთხილება: თალაკვაძე (27), ანჯაფარიძე (67)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); გ. ახკარ ოღლი (ქარელი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეიკლიშვილი

**პაატა კვანტალიანი ძველი ანაგიდან**

**ვის არ ნახავდით** გუშინ ძველანაგურ სარბიელზე. უმაღლესში აღზევებული „მილანის" ბოლო საპირველლიგო მატჩს სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დაესწრო. იქვე იყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე და შოტლანდიიდან ჩამოსული ეროვნული გუნდის კაპიტანი გიორგი ნემსაძეც. ძველ ანაგაში სფფ-ის პრეზიდენტობის მოსურნე დავით პეტრიაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი კახა ჭუმბურიძეც იმყოფებოდა. კახელთა ზეიმს ფედერაციის თანამშრომლები, ვეტერანი ფეხბურთელები, უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლები, მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტებიც კი დაესწრნენ.

მატჩში კი, საინტერესო ბევრიც არაფერი მომხდარა. უმოტივაციო „მილანი" ჩვეული ჯიგრით და ჟინით ვერ უტევდა, ვარსკვლავებს არც ქობულეთელები წყვეტდნენ, მაგრამ მათ აშკარად ეტყობოდათ, სამი ქულის ჟინი რომ ჰკლავდათ.

მიუხედავად ამისა, მთელი ორი ტაიმი მასპინძლებისა იყო, ერთადერთი ეპიზოდის გარდა და სწორედ ის მომენტი გამოდგა გადამწყვეტი მატჩში. მეორე ტაიმი წუთის დაწყებული იყო, ქობულეთელებმა ჯარიმის უფლება რომ მოიპოვეს, საჯარიმოში ჩაგდებული ბურთი ნაყოფიას ხელიდან გაუვარდა და იქვე ჩასაფრებულმა დავით თალაკვაძემ გადათამაშებისა შეაგდო.

დარჩენილ დროში „მილანს" სულ ცოტა, ოთხჯერ შეეძლო ანგარიშის შეცვლა, მაგრამ სამხარაძემ, მედოევმა და გოლეთიანმა ვერ იხეირეს. მერე ზღვისპირელებმაც ნაყოფიერად დაიჭირეს ბურთი და გადათამაშებაში, „გორდას" მეტოქედ „ქობულეთი" დაუდგინეს.

## I-VI ადგილები

**ლოკომოტივი 3 0:2 თსუ**

თამაშში „არმაზზე" ჩატარდა

**დილა 4:1 ცხინვალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 10 | 7 | 2 | 1 | 17:6 | 46 |
| დილა | 10 | 6 | 1 | 3 | 19:13 | 44 |
| ქობულეთი | 10 | 7 | 0 | 3 | 11:6 | 42 |
| თსუ | 10 | 6 | 1 | 3 | 14:10 | 42 |
| ლოკომოტივი 3 | 10 | 2 | 0 | 8 | 13:18 | 26 |
| ცხინვალი | 10 | 0 | 0 | 10 | 4:25 | 18 |

## VII-XI ადგილები

**ლაზიკა 5:2 ხობი**

**დინამო 2 5:2 მერანი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 8 | 6 | 2 | 0 | 18:6 | 34 |
| ლაზიკა | 8 | 4 | 1 | 3 | 19:11 | 26 |
| ხობი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:15 | 22 |
| სამტრედია | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 17 |
| მერანი 2 | 8 | 2 | 0 | 6 | 11:21 | 14 |

*გადათამაშება „გორდა" — „ქობულეთი" 28 მაისს 18 საათზე დაიწყება. მატჩის ადგილს ფეხბურთის ფედერაცია ხვალ გამოაცხადებს*

# დინამო

## თუ ჩვენი არ გჯერათ, ვიდეოჩანაწერის მაინც დაიჯერეთ

საკამათო 11-მეტრიანი დაინიშნა და მეცამეტე ეროვნულის ჩემპიონის ბედიც ამ პენალტმა გადაწყვიტა — ეს ჩემპიონატის ბოლო ტურის „ტორპედო"-„დინამოს" მატჩში მოხდა, რომელსაც გამოცდილი სერგო კვარაცხელია სჯიდა და მან ეს საკამათო ეპიზოდი „სარბიელთან" ინტერვიუში თავისებურად აღწერა.

ახლა კი მეორე მხარესაც მოვუსმინოთ. დინამოელები, გიორგი შაშიაშვილი და სერგო კვარაცხელიას მიერ „ბრალდებული" ილია კანდელაკი აბსოლუტურად განსხვავებულს ლაპარაკობენ და თავიანთი პოზიციის დასტურად მატჩის ვიდეოჩანაწერსაც იშველიებენ.

*გიორგი შაშიაშვილი:*

— როცა ბაბუნაშვილმა დაამატა, დარტყმის შემდეგ მე და ის ერთმანეთს ფეხებით შევეჯახეთ და წავიქეცით. მე მისთვის ფეხი არ ჩამირტყამს, თვითონ წამომედო ფეხზე, რის გამოც ტრავმა მივიღე და ვერ ვვარჯიშობ. მსაჯმა კი პენალტი დანიშნა. რაც შეეხება კანდელაკს, რომელზეც სერგო კვარაცხელია ამბობს, უკნიდან ამოჰკრა ფეხი ბაბუნაშვილსო, იმ ეპიზოდში საერთოდ არ შეხებია ბაბუნაშვილს, უბრალოდ, იქვე ახლოს იდგა.

*ილია კანდელაკი:*

— იმ ეპიზოდში ფეხი არავისთვის არ ამომიკრავს, ხოლო ვისაც ჩვენი არ სჯერა, მატჩის ვიდეოჩანაწერს უყუროს და ჩვენი სიმართლე ამითაც დადასტურდება.

**დავით თავართქილაძე**




**იყიდება უნიკალური წიგნები**

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81




დინამოელთა კაპიტანმა გიორგი შაშიაშვილმა მსაჯს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა — სერგო კვარაცხელიამ თავისებურად განსაჯა

„ტორპედო" — „დინამოს" 44 წლის ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია განსჯის — [illegible] სამსაჯო კომიტეტის მეთაურმა ანატოლი [illegible]. იმსაჯოს, მოიწონა გადაწყვეტილება ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ, ხოლო მათ არჩევანს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ბეჭედი დაასვა.

ჩაფიქრდნენ ქუთაისური და თბილისური გუნდების ხელმძღვანელები, ვინ იცის, რა გაიფიქრეს, მაგრამ პრეტენზიებიც ხმამაღლა არ გამოუთქვამთ — მეცამეტე ჩემპიონატის უმთავრეს თამაშზე გუნდებს შუაში საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრი ჩაუდგა.

გუშინწინდელ დაძაბულ მატჩს კიდევ არაერთხელ გაიხსენებენ. სულ იქნება აზრთა სხვადასხვაობა, ბევრსაც იკამათებენ და, ალბათ, ყველასთვის მოსაწონ დასკვნამდეც ველარ მივლენ.

რადგან ჩემპიონატიც უკან დარჩა და ვნებათაღელვაც განელდა, უპრიანი გვგონია, ქუთაისური დაპირისპირების მომრიგებელს ვათქმევინოთ ორი სიტყვა. შეიძლება, სერგო კვარაცხელიას ახლა ფეხბურთისთვის სულაც არ სცხელა, ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობა გადაუწყვეტია და ზუგდიდში წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული, მაგრამ „ტორპედო" — „დინამო" რომ ვუხსენეთ, ინტერვიუზე უარი არ უთქვამს. მისი მოსაზრებების მართებულობა კი ქომაგებმა შეაფასონ.

# ბურთი კვარაცხელიას, სიხარული ქუთაისს, ქება დინამოს

— ამდენი წელიწადია, ვმსაჯობ და 22 მაისს ქუთაისში რომ შევესწარი, მსგავსი ეროვნულ ჩემპიონატში არ მინახავს. ერთხელ, 90-იანების დასაწყისში, სოხუმის „ცხუმის" თამაშზე დაახლოებით 20 ათასი ქომაგის თვალწინ გამიყვანია გუნდები მოედანზე, მაგრამ ის მატჩი თავისი მნიშვნელობით და გულშემატკივრების სიმრავლით ქუთაისურთან ვერ მოა.

**— თქვენ უშუალოდ გრძნობდით თამაშს. არ გაგიჭირდათ?**

— სამი მსაჯი და 22 ფეხბურთელი უდიდეს ფსიქოლოგიურ ტვირთს ვატარებდით 90 წუთის მანძილზე. ეს იყო თამაში, როცა არც ერთს უმნიშვნელო შეცდომის უფლება არ გვქონდა. მადლობა ორივე გუნდის ფეხბურთელებს, მათ შეძლეს თამაშის გარდა ყველაფერი დავევიწყებინათ. კეთილსინდისიერად, ჯენტლმენურად იბრძოლეს და მეტოქეთა მოქმედებამ საქმე ძალიან გამიიოლა.

**— როგორ ფიქრობთ, რომელი გუნდი უფრო იმსახურებდა გამარჯვებას?**

— მერწმუნეთ, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ორივეს გამარჯვებულად გამოვაცხადებდი. მოწინააღმდეგეთა მიერ ყველაფერი იყო გაღებული. მოედანზე ვითარებაც პერიოდულად იცვლებოდა. ხან მასპინძელი აწვებოდა თავგამოდებით, ხანაც სტუმარი მძლავრობდა. რომ გავიფიქრებდი, ეგ არის, „ტორპედომ" ჩაიგდო თამაშის სადავეები-მეთქი, მაშინ „დინამო" ქმნიდა საგოლე მომენტს და პირიქით. გოლამდე თბილისელებს ჰქონდათ კიდეც დაწინაურების შანსი, თუმცა არ გაუმართლათ. ქუთაისელებმა მოიგეს, ისინი ჩემპიონები არიან და აქედან გამომდინარე უფრო ძლიერებიც ისინი აღმოჩნდნენ.

**— თბილისელთა კარში თქვენს მიერ დანიშნულ პენალტზე დღესაც კამათობენ და, ალბათ, კიდევ საკმაოდ იქნება გარჩევის საბაბი. სერგო კვარაცხელია როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებდა იმ მომენტს.**

— ახლაც თვალწინ მიდგას და, ალბათ, კიდევ დიდხანს მემახსოვრება. ირაკლი ზოიძემ ჯერ მალხაზ ასათიანის დარტყმული უკუაგდო, მერე ქუთათელაძე დატოვა მშრალზე. გასაოცარი ბურთები მოიგერია დინამოელთა მეკარემ, მაგრამ შეტევა ამით არ დასრულებულა. საგოლედ შოთა ბაბუნაშვილმა გაიწია, მეტოქეზეც წინ იყო და ილია კანდელაკმაც უკნიდან ამოჰკრა ფეხი.

**— სტუმრისთვის საბედისწერო გადაწყვეტილების მიღებისას არ გიყოყმანიათ?**

— არა. მე მომენტთან ძალიან ახლოს ვიყავი, არც არავინ მეფარებოდა და ყველაფერი გარკვევით დავინახე. თერთმეტმეტრიანი ასპროცენტიანი იყო.

**— მაშინ დინამოელები ისე არ ფიქრობდნენ, სანამ ზოიძე და ასათიანი ერთმანეთის პირისპირ დადგებოდნენ, თბილისელთაგან პროტესტიც მწვავე მიიღეთ.**

— გადაწყვეტილების გასაჩივრების მცდელობები თხუთმეტიოდე წამმა დაიტია. მერე გიორგი ანჩაბაძე მოვიდა, ჩემსა და დინამოელებს შორის ჩადგა და თანაგუნდელებს ეს უთხრა — მოეშვით, იყო პენალტი და დროს ნუ ვკარგავთ, დაარტყანო. ისინიც მაშინვე გამეცალნენ, გრძნობდნენ, მართალი ვიყავი და არაფერი შეიცვლებოდა.

**— კარის ხაზზე ირაკლი ზოიძეა, მის წინ ასათიანმა ბურთი გაასწორა და იქვე იდექით თქვენ. ხომ არ ფიქრობდით, რომ თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო?**

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება. შემსწრე ვარ, როცა ასეთი მომენტის შემდეგ თამაშის ბედი მართლა გადაწყვეტილა, მაგრამ ისიც მინახავს, მეკარეს პენალტი აუღია და დარჩენილ დროში მის ფრთაშესხმულ თანაგუნდელებს თამაში სათავისოდ შეუტრიალებიათ.

არ დაგიმალავთ, იმ წუთში მართლაც არ გამოვრიცხავდი, ზოიძეს ევაგკაცა. არც იქნებოდა გასაკვირი, ირაკლიმ ხომ მთელი თამაში ჩინებულად ჩაატარა. თითქმის მისწვდა კიდეც ასათიანის დარტყმულს, მაგრამ თითქმის ხომ არაფერს ნიშნავს. ჩემი აზრით, „დინამოს" მეკარე ბურთისკენ ცალი ხელით რომ წასულიყო, ქუთაისს დააქცევდა, მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, ზოიძეს უნდა გადაერჩინეთო. რომ არა მეკარეები, „ტორპედოზე" რამდენიმე გოლს იხილავდა ქომაგი. სტურუამაც ხომ იხსნა „ტორპედო".

**— გაისმა სერგო კვარაცხელიას საფინალო სასტვენის ხმა და...**

— ზუსტად არც მახსოვს, რა გავიფიქრე. მოედანი გულშემატკივრებით წამებში ივსებოდა. ეს სიხარულის გადმოხეთქვა იყო და მშვიდად ვიყავი. წარმოიდგინეთ, გაავებული ქომაგის „შემოსევა" რომ ყოფილიყო, რა მოხდებოდა.

პირველად რაც მოვიფიქრე ეს იყო, ბურთისკენ წავედი. ორი მოსაზრება მამოძრავებდა. რომელი მსაჯი იტყოდა უარს, ფინალის ტოლ-სწორი მატჩის ბურთით დაემშვენებინა საკუთარი კოლექცია, თანაც იმ ბურთზე მე ვიყავი პასუხისმგებელი. სტადიონის ადმინისტრაციას რომ მოეკითხა, მე უნდა ამენაზღაურებინა დაკარგულის საფასური.

დღეს ის ბურთი ჩემთან ინახება, „ტორპედოს" ადმინისტრაციას წინააღმდეგობა არ გაუწევია და ჩემს კოლექციას ამშვენებს.

**მამუკა კვანტალიანი**



გუშინწინ „ტორპედოზე" თამაშამდე კუნთები მსაჯებმაც გაახურეს

# ფულიანი და უფულო საქართველო ქულა ჯიბეში ითვლება

*იყო თუ არა? ტრადიციული კითხვით დასრულდა საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის, ფინალურ მატჩად მონათლული „ტორპედო“ – „დინამო“.*

*იყო თუ არა სამართლიანი შეხვედრის არბიტრ სერგო კვარაცხელიას მიერ „დინამოს“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი, რომელმაც, როგორც მერე გამოჩნდა, მატჩისა და ქვეყნის ჩემპიონის ბედი გადაწყვიტა, კიდევ ბევრჯერ იქნება სალაპარაკო და გასარჩევი, უპირველესად დინამოელთა და მის ქომაგთა შორის.*

*იყო თუ არა, ამაზე მსჯელობით ახლა თავს არ შეგაწყენთ, იმას კი ვეცდებით, დასრულებულ ჩემპიონატს თვალი გადავავლოთ და ის ამბები თუ მოვლენები გამოვარჩიოთ, რომლებმაც ამ ხნის მანძილზე ჩვენი და ქომაგთა ყურადღება მიიპყრო.*



ივო შუშაკმა „დინამო“ გამოაცოცხლა

**ფული** რომ თანამედროვე ფეხბურთში წარმატებისთვის თითქმის უმთავრესი პირობაა, ვფიქრობთ, ამას ბევრი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. რაღა შორს წავიდეთ, მეცამეტე ეროვნულის საბოლოო სატურნირო ცხრილს ჩავხედოთ. მოწინავე სამეული — ქუთაისის „ტორპედო“, თბილისის „ლოკომოტივი“ და „დინამო“ წელგამართული კლუბები არიან. სამივეს შეძლებული პატრონი ჰყავს, რომლებიც სასურველი ფეხბურთელების შესაძენად, უცხოური შეკრებების მოსაწყობად და საკლუბო ინფრასტრუქტურის ევროპულად ჩამოსაყალიბებლად ფულს არ იშურებენ.

ქუთაისელთა ზედიზედ სამჯერ ჩემპიონობა, კლუბში სწორედ რომ ახალი და ჯიბესავსე ხალხის მისვლას უკავშირდება.

ამას დაუმატეთ გამოცდილი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი, შეთამაშებული შემადგენლობა, მრავალრიცხოვანი ქომაგობა და გუშინწინ ქუთაისში არნახული ამბებიც დატრიალდა.

აქვე ერთიც შევნიშნოთ, გუნდს სჭირდება ყოჩი, ლიდერი, რომელიც მაშინ გამოიდებს თავს და წაუძღვება თანაგუნდელებს, როცა ყველას უჭირს, როცა სხვები ვერ ახერხებენ იმას, რისი მოხერხებაც მხოლოდ ლიდერის ნიჭსა და უნარს შეუძლია.

ქუთაისელთაგან ასეთი მალხაზ ასათიანი გამოდგა. დასტურად „დინამოს“ მწვრთნელის, ივო შუშაკის გუშინწინდელი მატჩის შემდეგ ნათქვამიც იკმარებს: ასათიანი უდიდესი პოტენციის ფეხბურთელია, გოლი მისი ბრწყინვალე თამაშის შედეგი იყო და არა „დინამოს“ დაცვის შეცდომისო.

ხორვატმა მწვრთნელმა კი ფეხბურთის ავან-ჩავანი კარგად უწყის. მეცამეტე ეროვნულის ერთ-ერთ, თუ არა უმთავრეს მოვლენადაც მისი ქართულ ფეხბურთში, კერძოდ, „დინამოში“ მისვლა უნდა ვაღიაროთ.

ეს საქმეც ფულით გაკეთდა. შუშაკის გამწვრთნელებამდე პოლიციელთა „დინამო“ საქართველოში თავშეფარებულმა და რუსეთში დიდფულნაშოვმა ბადრი პატარკაციშვილმა იყიდა ქვეყანაში პირველობისა და ევროპის ელიტარულ, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის სურვილით. ამ დროს კი ათგზის ჩემპიონი „დინამო“ ოდენ ზეექვსეულში ადგილის დასამკვიდრებლად იბრძოდა. ახალმა პატრონმა გუნდი ახალ მწვრთნელს ჩააბარა, არჩევანი შეჩერდა ხორვატ ივო შუშაკზე, რომელსაც სლოვენიური „მარიბორი“ ჩემპიონთა ლიგაშიც უთამაშებია, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ხორვატთა მესაჭეს, მიროსლავ ბლაჟევიჩს თანაშემწეობდა.

არჩევანმა გაამართლა, შუშაკის ხელში „დინამო“ გარდაიქმნა — გაუვალი დაცვა, მოძრავი, ხისტი ნახევარდაცვა და კარზე დაგეშილი ფორვარდები. უპრიანია, ამ მოსაზრების გასამყარებლად ციფრებიც მოვიშველიოთ, საგაზაფხულო ეტაპზე, ანუ შუშაკის თავკაცობისას „დინამომ“ ათი თამაშიდან მოიგო რვა, წააგო ერთი და ერთიც ფრედ დაასრულა, გაიტანა ოცი და გაუშვა მხოლოდ ერთი ბურთი. დამეთანხმებით, შესაშური შედეგია, მაგრამ ერთიცაა, გუნდი დამარცხდა იმ შეხვედრაში, რომელშიც გამარჯვებას ოქროს ფასი ედო.

თუმცა აქვე ვთქვათ, ხორვატმა მცირე დროში შეძლო ის, რასაც, თამამად ვიტყვით, ვერც ერთი ქართველი მწვრთნელი ვერ შეძლებდა — „დინამო“ დღეს სწორ, გამართულ ფეხბურთს თამაშობს და ამბიციაც საკმაოდ მოსჭარბებია და ყველაზე მთავარი — „დინამო“ მზარდი გუნდია, იმ ავადმყოფ ჩვილს ჰგავს, რომელიც გამოცდილი და მზრუნველი ექიმისა და გაძლიერებული კვების წყალობით დღითი-დღე ფეხზე დგება და ჯანზე მოდის. „დინამომ“, ჩვენი აზრით, ერთი სწორი ნაბიჯიც გადადგა — შემადგენლობა ლეგიონერით, ბრაზილიელით გააძლიერა, კარლოსი კარგად მოერგო გუნდის სათამაშო სტილს, ისევე როგორც უკრაინელმა პოროშინმა 17 გოლით „ტორპედოს“ გაჩემპიონებაში ლომის წილი დადო.

უცხოტომელთა გამოჩენა, ქართულ ფეხბურთს კარგის მეტს არაფერს მოუტანს, მაგრამ საამისოდ საჭიროა... ფული.

თბილისურმა „ლოკომოტივმა“ უცხოელი ვერა, მაგრამ რუსეთში საქმეებაწეწილი ზაზა ჯანაშია კი დაიმატა. სამგიეროდ, გაუშვა მოთამაშე-მწვრთნელ კახა ცხადაძეს, რომელსაც „დინამოსთან“ „ეროვნულზე“ მარცხი არ ეპატია. რკინიგზული გუნდი სერგო კუტრიკაძემ და გია ჯიშკარიანმა ჩაიბარეს. ჯანაშიას გოლის შექმნა-გატანა არ დავიწყებია, კახა გოგიჩაიშვილის „ბებერმა“ ფეხმაც ბევრი ხნა და, ერთი შეხედვით, საჩემპიონო შანს გამოტირებული გუნდი ქუთაისში „ტორპედოს“ დამარცხების მერე კვლავ პირველობის იმტაზე მოვიდა.

„ლოკომოტივი“ საბოლოოდ მეორეობას დასჯერდა და, ალბათ, რკინიგზული ვერცხლიც ლოგიკური იყო. აკაკი ჩხაიძის გუნდს აკლდა ის, რაზეც ვერ დაიჩივლებდა ვერც „ტორპედო“ და ვერც „დინამო“ — გამოცდილი, მრავლისმნახველი მწვრთნელი და მოწესრიგებული საკლუბო სტრუქტურები.

ჩემპიონატის ერთგვარი მოულოდნელობა იყო „ვიტ ჯორჯიას“ ზეექვსეულში ვერმოხვედრა, თუმც ოთხი წამყვანი ფეხბურთელისა და მწვრთნელთა ხშირი ცვლის შემდეგ ვეტერინართა მე-7 ადგილი, გასაკვირი აღარ უნდა იყოს. სეზონი იტალიელმა ჯანი კარნევალიმ დაიწყო, მერე გუნდი სერგო გაბელაიას ჩააბარეს, ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან გუნდის გაწვრთნა „დინამოდან“ წამოსულ გოჩა ტყებუჩავას ანდეს, მაგრამ მცხეთაში „ტორპედოსთან“ 0:3 მარცხმა იგი გუნდთან სკანდალურად დააშორა. ვეტერინართა პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ კვლავ კარნევალის უხმო და, ზემოთაც გითხარით, „ვიტ ჯორჯია“ მეშვიდეობას დასჯერდა.

და რა დაემართათ უფულო და უპატრონო კლუბებს?

არცთუ ურიგო წყალტუბოს „სამგურალმა“ უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო და კვლავ პირველში ჩაყურყუმალავდა. უკაპიკო „გურიამ“ კი საგაზაფხულო ეტაპზე ქულაც კი ვერ მიითვალა. ოთარ გაბელიას კარკეტი „მერანი“ კი პატრონებს შორის დავამ სეზონშუა პერიოდში ისეთ დღეში ჩააგდო, ფეხბურთელების ავჭალიდან აბარგებას წინ აღარაფერი ედგა. რუსთავის „გორდამ“ კი, რომელიც უმაღლესი ლიგის მუდმივი ბინადარია, საქმე ისე გაიხადა, პირველი ლიგიდან თავის დასაღწევად გადათამაშებაში „ქობულეთთან“ ჯახი მოუწევს. ფოთის „კოლხეთს“, „ბათუმს“, ბოლნისის „სიონს“ კი არც უჭირთ და არც ულხინთ და ჩემპიონატიც მშვიდად დაასრულეს, ვერც სამეულისთვის იბრძოლეს და არც გასავარდნად გაიხადეს საქმე.



გუშინწინდელ მატჩში ქუთაისელმა მალხაზ ასათიანმა (ბურთით) დინამოელებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა





„დინამოს“ ბრაზილიელი კარლოსი და „ტორპედოს“ უკრაინელი ანდრი პოროშინი

### სიმბოლური ნაკრები




| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 10 | 7 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 48 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 10 |
| 2 ლოკომოტივი | 10 | 7 | 1 | 2 | 18:6 | 12 | 47 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 10 | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 12 |
| 3 დინამო | 10 | 8 | 1 | 1 | 20:1 | 19 | 44 | 5 | 5 | 0 | 0 | 17:0 | 17 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 3:1 | 2 | 10 |
| 4 კოლხეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:16 | -7 | 26 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | -8 | 1 |
| 5 მერანი | 10 | 2 | 0 | 8 | 7:24 | -17 | 23 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:6 | -1 | 3 | 5 | 1 | 0 | 4 | 2:18 | -16 | 3 |
| 6 ბათუმი | 10 | 1 | 1 | 8 | 5:19 | -14 | 23 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:6 | -4 | 1 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:13 | -10 | 3 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 7 ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:8 | 4 | 35 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 7 |
| 8 სიონი | 10 | 5 | 1 | 4 | 18:13 | 5 | 29 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 10 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | -5 | 3 |
| 9 მეგობლურები | 10 | 5 | 2 | 3 | 16:10 | 6 | 27 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 |
| 10 გორდა | 10 | 5 | 3 | 2 | 20:11 | 9 | 25 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 |
| 11 სამგურალი | 10 | 5 | 1 | 4 | 11:10 | 1 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:8 | -5 | 3 |
| 12 გურია | 10 | 0 | 0 | 10 | 4:29 | -25 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:14 | -11 | 0 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | -14 | 0 |



*ქართველი ფეხბურთელის ევროპის ყველაზე პრესტიჟული ლიგაში უბურთავია, მაგრამ ამ სეზონში იმას გამოვრჩით, რომ ბუნდესლიგა და პრემიერლიგა უქართველებოდ დარჩნენ. თუმც ცოტა რომ მოვიცადოთ, არ გვაწყენდა – ლევან კობიაშვილით ხომ „ლევერკუზენი" ცხოვლადაა დაინტერესებული...*

*სახელიანი „კიოლნი" კი „ფრაიბურგის" დარად მინიმუმ ერთი წლით დაემშვიდობა ბუნდესლიგას, რაშიც გუნდის ქართველ ლეგიონერს, ფაქტობრივად, წვლილი არ მიუძღვის – 29 წლის არჩილ არველაძემ ამ სეზონში მხოლოდ სამჯერ ითამაშა ბუნდესლიგურ მატჩებში. მიზეზი ტრავმაა – ზამთარში აჩიკოს მუხლის ხრტილის გადანერგვის ოპერაცია გაიკეთა და ახლა ოდენ ტრენაჟორებით თუ იდენს ოფლს.*

*კიოლნელ ქართველს, რომელიც არაერთხელ გამომძვრალა მძიმე ტრავმიდან, ინტერვიუ დილმის ბაზაზე ჩამოვართვით.*

# შეფერჰოფი მუხლმტკივანი აჩიკოს ტვინსაც გადასწვდა

## შეშპოგარი და სახლში მჯდომი ქართველი კიოლნელი

**— „კიოლნი" ბუნდესლიგიდან გავარდა და ეს ალბათ, მთელ რიგი პრობლემების გამო დაემართა. მაგრამ მაინც, რა იყო ჩავარდნის უმთავრესი მიზეზი?**

— პირველი წრე მე-15 ადგილით ჩავამთავრეთ, რითაც, ცხადია, ბუნდესლიგაში ვრჩებოდით, მაგრამ მერე დამატებითმა სირთულეებმა წამოყო თავი. კიოლნის პრესამ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ის მიიჩნია, რომ მე, კრისტიან ტიმს და დირკ ლოტნერს ფაქტობრივად არ გვითამაშია — მედიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ წინა სეზონში ამ სამმა ფეხბურთელმა ერთად 30 გოლი გაიტანა „კიოლნისთვისო". ჩემთვის გუნდის გავარდნის ამაზე დაბრალება, უბრალოდ, კარგი მოსასმენი გახლდათ. რა თქმა უნდა, იყო სხვა მიზეზებიც. მეორე წრეში ხშირად იცვლებოდა გუნდის შემადგენლობა, რასაც უიღბლობა და ცუდი თამაშიც დაემატა.

**— „კიოლნმა" ამ სეზონში სამი მწვრთნელი გამოიცვალა. ბოლო ტურებში გუნდმა ფრიდელ ფუნკელის ხელმძღვანელობით თითქოს ბრჭყალები გამოაჩინა და უკეთესადაც ათამაშდა. აქ უკვე რაში იყო საქმე?**

— „კიოლნი" ბოლო ტურებისთვის თითქოს შეეგუა ბუნდესლიგიდან გავარდნას. ფეხბურთელებს ამით ფსიქოლოგიური ტვირთი შეუმსუბუქდათ და თამაშიც გაუადვილდათ.

**— შენ თუ გიადვილებს რაიმე ნაოპერაციები მუხლის მოშუშებას?**

— ექიმების თქმით, ჯერ კიდევ არ არის იმის დრო, რომ სრულიად გამოჯანმრთელებული ვიყო, თუმც ყველაფერი კარგად მიდის. სამი თვის წინ ექიმი უარეს მდგომარეობას ვარაუდობდა. თუმც, ცხადია, მაინც შეზღუდული ვარ. მაგალითად, კიბეზე ასვლა მიჭირს.

**— „კიოლნის" ექიმი გიწევს მეთვალყურეობას?**

— არა, კიოლნის კლინიკის ექიმთან ვმკურნალობ. სხვათა შორის, ეს ექიმი, პიტერ შეფერჰოფი, ორი სახელოვანი შუმახერის მკურნალიცაა — ტონის და მიხაელის.

**— მერე, რას გეუბნება? შენ ხომ ადრე რამდენიმე რთული ტრავმა და ოპერაცია გადაიტანე და მორიგი ტრავმის მოშუშება ალბათ, კიდევ უფრო რთული იქნება...**

— მან მითხრა, რომ შენს გარდა ასეთი ფეხით ვერავინ ითამაშებსო. ოპერაციის შემდეგ, ბუნებრივია, ფეხს ვერ ვამოძრავებდი და ვიწექი. ექიმებმაც სპეციალური აპარატით მუხლის მოძრაობა დამინიშნეს და ამ პროცედურისთვის დღეში 3 საათი უნდა დამეთმო, მაგრამ მე 8-10 საათს ვავარჯიშებდი მუხლს. შეფერჰოფმა სხვა პაციენტსაც დაუნიშნა ეს პროცედურა და მასაც სამი საათი დაუწესა, თუმც ისიც უთხრა, ერთი ისეთიც არის, ამას 8-10 საათს აკეთებს, მაგრამ ის ტვინით ავადმყოფიაო. ალბათ, სწორედ ამიტომ მითხრა ექიმმა, შენს გარდა ასეთი ფეხით ვერავინ ითამაშებსო...

**— ზუსტად არ მახსოვს და იქნებ გვითხრა, მანამდე რამდენი ოპერაცია გაიკეთე?**

— ორჯერ მუხლის ჯვარედინა მყესების და ამდენჯერვე მენისკის. ხრტილის გადანერგვა კი მეხუთე იყო.

**— მერედა, როგორ უძლებ ამდენს? ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც ყველაფერი ეს ხომ ძალიან ძნელია, კვლავ ისე გრძნობ თავს, რომ კიდევ წამოდგები ფეხზე პროფესიული და წარმატებული კარიერისთვის?**

— ეს ტრავმაც და, მგონი აღარ შემრჩება იმის ძალა, რომ კიდევ გავუძლო ასეთ რამეებს. მაგრამ ფეხბურთელის კარიერა ხომ ჩემთვის ყველაფერია, ეს ჩემი ცხოვრებაა. ამ ასაკში ფეხბურთს თავს ხომ არ დავანებებ, მე კიდევ ბევრი შემიძლია. მიმაჩნია, რომ ბოლო ათწლეულში ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი ვარ. ასაკი კი არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს — ახლა ხომ ფეხბურთელები 35 წლამდე თამაშობენ მაღალ დონეზე. ვფიქრობ, კიდევ შემიძლია, თამაშისგან სიამოვნება მივიღო და გულშემატკივარი გავახარო.

**— „კიოლნის" საქმეები როგორაა — ბუნდესლიგური მატჩების ტელეტრანსლაციების მფლობელი ფირმა „კირხის ჯგუფი" ხომ გაკოტრდა და კლუბებსაც ვეღარ უხდის ფულს.**

— რა თქმა უნდა, ამით „კიოლნიც" დაზარალდა, მაგრამ დიდად არა — კლუბს შემოსავლის მხოლოდ 20 პროცენტი მოაკლდა. კიოლნი დიდი ქალაქია, გუნდის თამაშებზე დასწრება ძალიან მაღალია და კლუბსაც წარმატებული ბიზნესი აქვს — სიმბოლიკიანი ნაწარმის გაყიდვა, სპონსორული და სხვა შემოსავლები. „კირხის" გაკოტრება კი, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ გერმანიაში ძალიან გახშირდა „კირხის" პარტნიორ ფასიან არხებზე კოდის თვითნებურად მოხსნა და ტრანსლაციების არალეგალურად ყურება. გერმანიაში ბევრი ისეთი „ხელოსანია", ვინც სულ რაღაც რამდენიმე მარკად აკეთებს ამას.

**— მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებ...**

— შარშან „რეინჯერსიდან" იყო შემოთავაზება, მაგრამ ტრავმა მოლაპარაკებების დაწყებამდე მივიღე და საქმეც ჩაიშალა. ახლა კი აქეთ-იქით წასვლაზე ფიქრის დრო არ არის, მთავარია, რაც შეიძლება მალე ჩავდგე მწყობრში, გაისად კი „კიოლნთან" კონტრაქტი დამიმთავრდება.

**— კიოლნელებთან ერთად შეკრებაზე ვერ იქნები?**

— შეკრების პირველ ეტაპზე ნაღდად ვერა, მერე კი ვნახოთ. ვფიქრობ, სექტემბრისთვის მზად ვიქნები თამაშისთვის. ძალიან მინდა, ნაკრებშიც ვითამაშო.

**— ნაკრებში, რომელმაც ყველა შესარჩევი ციკლი ჩააგდო, შემოდგომიდან კი ახალს დაიწყებს და ახალი იმედები გაგვიჩნდება. შეგიძლია, რაიმე ახალი თქვა ამის შესახებ?**

— ჩვენ, ვისაც ამდენი ხანი გვითამაშია ნაკრებში, რა, არ გვინდა, რომ გუნდი წარმატებით გამოვიდეს? ჰოდა, აღარ გვინდა იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად სერიოზულად ვუდგებით ეროვნულ გუნდში თამაშს, მაგრამ ჯგუფიდან ვერგასვლის შემთხვევაში ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. აგერ, ჰოლანდიამ ვერ დაძლია შესარჩევი ეტაპი.

**— გერმანელები რა თვალით უყურებენ თავიანთ ეროვნულ გუნდს?**

— ძალიან კრიტიკულად. მათ ნაკრებს ხომ კინაღამ ფინეთისამ არ დაანება მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა, როცა შესარჩევი ჯგუფის ბოლო ტურში ფრედ ეთამაშა. თუმც ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთო დონე ძალიან გათანაბრდა.

**— კიოლნი, ალბათ, ისეთი ქალაქია, სადაც, როგორც იტყვიან, ცხოვრება ჩქეფს. მყუდროდ გრძნობთ იქ თავს?**

— მე, ასე ვთქვათ, სახლში მჯდომი კაცი ვარ. კიოლნი კი მართლაც ერთ-ერთი კულტურული ცენტრია და კარგი კონცერტებიც ხშირად ტარდება. კიოლნში ბარი უაითი, უიტნი ჰიუსტონი და მათი დონის მომღერლები ჩამოდიან და მეც ვესწრები ხოლმე ასეთ კონცერტებს. ხანდახან რესტორანშიც დავდივარ, მაგრამ შინ ყოფნა მართლა მიყვარს — ერთი სული მაქვს ხოლმე, კარგად მოვკალათდე და „მოამბეს" ვუყურო.

**დავით თავართქილაძე**



არჩილ არველაძემ მუხლის გასამაგრებლად დიღმის ბაზას მიაშურა



შოთა არველაძე შესაძლოა ამსტერდამის გზას დაადგეს

# ამსტერდამი: შოთას კოჭის მორიგი პლაცდარმი

**თებერვლის** ბოლოს, ასოციაციის თასზე მეორედივიზიონელ „ფორფარდს" შოთა არველაძემ ორი გოლი გაუტანა და კოჭი ისე იტკინა, რომ დღემდე ვერ გამოჯანმრთელდა. ამის შემდეგ „რეინჯერსის" მენეჯერმა ალექს მაკლიშმა ჩვენებური მხოლოდ „სელტიკთან" მატჩებში ათამაშა და ისიც ტკივილგამაყუჩებლების წყალობით.

გლაზგოელმა ექიმებმა შოთას ამცნეს, კოჭის მყესები გაწყვეტილი არ არის და საოპერაციოც არაფერი გჭირსო, თუმც არველაძემ ტკივილს თავი ვერა და ვერ დააღწია.

— გამოკვლევა გერმანელ ექიმებთანაც ჩავიტარე და მითხრეს, საოპერაციო არ ხარო. ამის შემდეგ ამსტერდამში ჩაველი და იქაურ ექიმებსაც გავესინჯე. იქიდან პასუხს დღედღეზე ველოდები და თუ ოპერაციას გადაწყვეტენ, მეც მათთან მომიწევს ჩასვლა — გვითხრა შოთა არველაძემ.

**დავით თავართქილაძე**

# ყველაფერი ვაჟასია!



ვაჟა თარხნიშვილმა მოლდოვურ ოქროს თასიც შემატა

**მოლდოვის** ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ტირასპოლის „შერიფმა" ოქროს მედლები გაინაღდა და ამ ტიტულს აგერ, კიდევ ერთი შემატა.

გუშინწინ კიშინიოვის რესპუბლიკურ სტადიონზე ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმა" ჩემპიონობის გარდა თასიც აართვა ხელიდან „ნისტრუს". „შერიფმა" უკვე მესამედ მოიპოვა ქვეყნის თასი და ამ მაჩვენებლით აქამდე რეკორდსმენ „ტილიგულს" გაუტოლდა. აქვე ვთქვათ, რომ სამივე თასის მოგებაში თავისი წვლილი ქართველმა მცველმა, გუნდის კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმაც შეიტანა. „ნისტრუ" კი „შერიფისგან" განსხვავებით, თამამად შეიძლება სათასო უიღბლოდ მოვნათლოთ. თავად განსაჯეთ: ეს გუნდი აქამდე სამჯერ გავიდა ფინალში, სამივე მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა, მერე კი... თასი სამჯერვე მეტოქემ წაიღო.

ახლა შეგვიძლია, ეს წრე კვლავ გავაგრძელოთ და უიღბლო „ნისტრუს" შემდეგ იღბლიან „შერიფზე" ვთქვათ. ვაჟა თარხნიშვილის გუნდისთვის 90-წუთიანი ფინალი არასოდეს ყოფილა საკმარისი, მაგრამ „ნისტრუსგან" განსხვავებით შინ სულ გახარებული ბრუნდებოდა.

ასევე მოხდა ამჯერადაც. მატჩის ძირითადი დრო 2:2 დასრულდა, დამატებითში კი ჟილბერტო უოლტერის გასროლილმა ყველაფერს წერტილი დაუსვა და ჩვენებურს მესამედ ააწევინა მოლდოვის თასი. მთელი მატჩის განმავლობაში „შერიფი" იგებდა, თუმც „ნისტრუმ" ორჯერვე შეძლო გათანაბრება. პირველი გოლი კი 34-ე წუთზე ვაჟა თარხნიშვილმა გაიტანა. მერე ტირასპოლელები მოედანზე უმცირესობაში დარჩნენ. მსაჯმა 55-ე წუთზე ოდია ჩიდის აუნთო წითელი. ამას 72-ე წუთზე კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი დაემატა. „შერიფის" კარში პენალტი დაინიშნა, თუმც ალექსანდრ ბლაგკომ სეხნია კირილოვს ვერ აჯობა — მეკარემ ურთულესი დარტყმა გააუვნებლა. საბოლოოდ ყველაფერი ჩვენებურის გუნდისთვის კარგად დასრულდა და თარხნიშვილმაც მორიგი თასით დაიმშვენა ხელი.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ვაჟა თარხნიშვილს კიდევ ერთი პრიზის მოპოვების რეალური შანსი აქვს. ჟურნალისტების გამოკითხვაში ის მოლდოვის ჩემპიონატში ჯერჯერობით საუკეთესოა. ჩემპიონატის დამთავრებამდე კი მხოლოდ ხუთი ტურიღა რჩება...

**კახა ზალამბერიძე**


# ინდსაწარმო «არეალი»

თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით

ამზადებს ნებისმიერი სახის

საოფისე ავეჯს

სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს

მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის 97 (გეოლოგების გარაჟი)

ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01

ხელმისაწვდომი ფასები

გადახდის ნებისმიერი ფორმით

# არწივი ვნახე...

## ნიგერია

**იოკოჰამა მარინოსი 2:2 ნიგერია**
1:0 საკატა (34), 1:1 ოგბეჩე (37), 2:1 იუუ (44), 2:2 ოგბეჩე (46)



ტარიბო ვესტი

**შორეული** აღმოსავლეთის მიწაზე სუპერარწივებმა პირველი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და იაპონურ „იოკოჰამა მარინოსს" 2:2-ზე დაუზავდნენ.

ნიგერიელები ორჯერ აგებდნენ და ორჯერვე 17 წლის ბართოლომეო ოგბეჩეს გოლებით გაათანაბრეს. პირველად, 38-ე წუთზე, იოკოჰამელი დაისუკე საკატას გატანილიდან სამ წუთში პიუს იკედიამ სამი იაპონელი მოატყუა და ოგბეჩე „იოკოჰამას" მეკარეს შეატოვა.

პსვ-ელმა ყმაწვილმა მეორე გამათანაბრებელი მეორე ტაიმის დასაწყისში შეაგდო საჯარიმო დარტყმით (მანამდე, პირველი ტაიმის მიწურულს, ასევე საჯარიმოდან იაპონელ დაისუკე ოკუმ გაიტანა). მატჩის დარჩენილ დროს ბურთს და ინიციატივას აფრიკელები ფლობდნენ, თუმც მაინც ფრეს დასჯერდნენ, ის კი არა, იაპონურმა კლუბმა კონტრშეტევებზე 2-3 საგოლე მომენტი გააცუდა. ნიგერიელთაგან კი საუკეთესო შანსი ნვანკვო კანუს პასით, იაპონელთა მეკარის პირისპირ გასულ შახტარელ ჯულიუს აგაოვას ჰქონდა მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე.

ფრის მიუხედავად, საკმაოდ კარგ ხასიათზე იყო „სუპერარწივთა" ბაზიერი ონიგბინდე. „მართალია, დღეს არცთუ მობილურები ვიყავით, ბურთსაც ხშირად ვკარგავდით, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ყველაფერს გამოვასწორებთ" — განაცხადა ნიგერიელთა მწვრთნელმა. მას არც ტარიბო ვესტი ჩამორჩა: „ჩვენ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვიქნებით. მართალია, ჯერ კიდევ გვჭირდება რაღაც-რაღაცეების დახვეწა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად იქნება".

ნიგერიელები მომდევნო საწვრთნელ მატჩს კვირას, იაპონურ „შონან ბელომარესთან" გამართავენ.

**სერგი ქორიძე**

# აბა, ჰე, წავედი მე სახლში!

## რობერ ვასეჟს სიარული ეზარება



## ბელგია

**რობერ ვასეჟმა** გადაწყვიტა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებთან კონტრაქტი აღარ გააგრძელოს — ეს ცნობა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა.

ვასეჟმა ფეხბურთში პირველი ნაბიჯები ლიეჟის „სტანდარდში" გადადგა და, როგორც ირკვევა, „აღმოსავლური კამპანიის" შემდეგ ალმა მატერს დაუბრუნდება.

ფედერაციის პრესმდივანმა, ნიკოლა კორნუმ კი განაცხადა: „ჩვენ მას კონტრაქტის გაგრძელება შევთავაზეთ, თუმცა უარი მივიღეთ".

ბელგიის ნაკრების თავკაცი წარმოშობით ლიეჟელია. 62 წლის სპეციალისტი კარიერაში რამდენჯერმე წვრთნიდა მშობლიური ქალაქის გუნდს და როგორც მოგახსენეთ, ახლაც იქ ბრუნდება, ხოლო, რაც შეეხება ეროვნულ გუნდს, მას, ალბათ, ამ დღეებში ჰოლანდიური პსვ-დან განთავისუფლებული ერიკ გერეტსი ჩაუდგება სათავეში.

ახლა ვასეჟის სანაკრებო ხანა უკეთ გავიხსენოთ: მისი ხელმძღვანელობით ბელგიის გუნდმა 29 შეხვედრა ჩაატარა, მათგან, 14 მოიგო და 6 წააგო. ეს ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც „წითელი ეშმაკები" ევრო 2000-ისთვის მზადებას შეუდგნენ — მოგეხსენებათ, ევრო 2000-ს ჰოლანდიასთან ერთად ბელგიამაც უმასპინძლა.

აღსანიშნავია, რომ კონტრაქტის განახლებაზე უარის თქმის წინ ვასეჟმა ასეთი რამ განაცხადა:

„აქ, ბელგიაში, პრესა ჩვენს მომავალს პესიმისტურად უყურებს. მეტიც, ტენდენცია ისეთია, თითქოს ჟურნალისტები მხოლოდ უარყოფითის დანახვას ცდილობენ, რაზეც გული მწყდება".

ბელგიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში იაპონიას, რუსეთს და ტუნისს უნდა ეთამაშოს, ხოლო გამგზავრების წინ, ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში თვით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ საფრანგეთს მოუგო 2:1.

აღსანიშნავია, რომ ბელგიის ნაკრების მწვრთნელობამდე ვასეჟი სამი წლის განმავლობაში პორტუგალიაში მუშაობდა, სადაც ლისაბონის „სპორტინგს" წვრთნიდა.

„ფეხბურთი სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეებისთვის ძალიან ცოტა დროს გიტოვებს. ფეხბურთზე შეუდარებლად მნიშვნელოვანი ხომ ოჯახია" — ამბობდა მწვრთნელი ოქტომბერში, სააგენტო „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

და ბოლოს, „სტანდარდში" გადასვლა ვასეჟს სახლიდან ანუ ლიეჟიდან ბრიუსელში და უკან ყოველდღიურ სიარულს აცილებს.

**ბაჩუნა ძიძია**

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 7 დღე

*მკითხაობის დრო დასრულდა. დადგა ჟამი იმისა, რომ აზიაში მოყუჩებულ ნაკრებთა მწვრთნელებმა ბანქო გაშალონ. ეს კი უბრალოდ, საბოლოო, 23-კაციანი ნუსხის დასახლებას ნიშნავს. ბევრს ეწყინება, შემადგენლობაში ვერმოხვედრა, ბევრიც პირველად გასინჯავს მუნდიალის „კერძს".*

*ასეა თუ ისე, ფიფა გაშალაშინებულ განაცხადებს ითხოვს, რათა მსოფლიოს ბედნიერთა ვინაობა ამცნოს. ამ საქმეს ბეჭედი უკვე დაესვა და ხელიც მოეწერა.*

*თუმც მუხთალი ბედი ვის რას უმზადებს, არავინ იცის. ამიტომ ფიფას ჩინოსნები სიურპრიზებისთვისაც მოემზადნენ. რომელიმე ფეხბურთელი შესაცვლელი თუ შეიქნა, საამისოდ მწვრთნელებმა, მსოფლიოს ფეხბურთის მამებს თავიანთი ნაკრების პირველი მატჩის დაწყებამდე 24 საათით ადრე უნდა აუწყონ. გარდა ამისა, დაშავებული მოთამაშის ტრავმის დაწვრილებითი ისტორიაც უნდა მიაყოლონ. საგანგებო სამედიცინო კომისია ტრავმას შეისწავლის და თუ მის სერიოზულობაში ეჭვს არ შეიტანს, მხოლოდ ამის შემდეგ მისცემენ შეცვლის ნებას.*

# არის ასეთი ოცნება

## ესპანეთი

*დიეგო ტრისტანმა პრიმერადივიზიონში მესამე სეზონი მიითვალა და საუკეთესო მეგოლეც გახდა. ხოსე ანტონიო კამაჩო ადრე მას ცალი თვალით უყურებდა, მაგრამ ფორვარდის შედეგიანმა თამაშმა ნაკრების თავკაცს მეორე თვალიც აუხილა. შედეგად „დეპორტივოს" ფეხბურთელმა ესპანეთის ნაკრების მაისურაში მაჰყო ხელი. ტრისტანი ესპანურ „მარკას" ინტერვიუზეც არ დაზარდა, რომელსაც გთავაზობთ კიდეც.*

**— მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩში გამარჯვება შემატებს თუ არა ნაკრებს საკუთარი თავის რწმენას?**

— უცნაურია, მაგრამ ესპანეთს პირველი შეხვედრა არასოდეს მოუგია. აქედან გამომდინარე, აქცენტი სწორედ ამაზე გვაქვს გადატანილი. ის, რაც სხვა დროს ვერ შეძლო გუნდმა, ახლა უნდა გავაკეთოთ.

**— კამაჩომ განაცხადა, მთავარი გამარჯვებისკენ ლტოლვა არისო. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ნაკრების ყველა წევრი მომართულია გამარჯვებისთვის, რაც ნამდვილად მწვრთნელის დამსახურებაა. ჩვენ ფიზიკურადაც კარგად მომზადებულნი ვართ და წარმატებისაც მჯერა.

**— ბევრ გულშემატკივარს სურს, წინა ხაზზე ტრიო — რაული-ტრისტანი-ვალერონი იხილოს...**

— საეჭვოა, კამაჩომ ერთდროულად სამი თავდამსხმელი ათამაშოს. ხოლო ვის უფრო ენდობა, ვერაფერს მოგახსენებთ. რა თქმა უნდა, კონკურენცია მძაფრი იქნება, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, მთელი სეზონი, როგორც კლუბში, ისე ნაკრებშიც ურიგოდ არ მითამაშია. არც იმის მეშინია, რომ ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე, რომელზეც არასდროს მითამაშია, საგოლე ალღოს დავკარგავ.

**— რამდენიმე წლის წინ თქვენ არ გიცნობდნენ, დღეს კი პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი ხართ და ნაკრებშიც თამაშობთ. შეიძლება ითქვას, რომ ოცნება აგიხდათ?**

— ამ შემთხვევაში ნამდვილად ასეა. ჩემს კარიერაში ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს, თუმც სასწავლი კიდევ ბევრი მაქვს.

**— ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ახალ სახელებს აღმოაჩენს?**

— დიახ, დიეგო ტრისტანს. რატომაც არა?



დიეგო ტრისტანმა (უკან) კამაჩოს თავი მოაწონა


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»

საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58




საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 7 დღე

# ერიქსონმა ინგლისი ჩამოწერა

## ტრევორ სინკლერს ბოლო იმედი ცოლმა წაართვა

### ინგლისი

„როდესაც გუნდი ერთ ან ორ წამყვან ფეხბურთელს კარგავს, შედეგის მიღწევა რასაკვირველია, ძნელდება, მაგრამ თუ საქმე ოთხი-ხუთი წამყვანი



დენი მერფი

ფეხბურთელის ტრავმებთან გვაქვს, რაიმეს მიღწევა თითქმის შეუძლებელი ხდება" — ეს სიტყვები სვენ გორან ერიკსონს ეკუთვნის, მისმა გაწვრთნილმა ინგლისის ნაკრებმა კი შესაძლოა, კიდევ ერთი ფეხბურთელი მოისაკლისოს — ლივერპულელი ნახევარმცველი დენი მერფი ვარჯიშისას მარცხენა ფეხზე უხერხულად დაეცა და ახლა რენტგენის სურათის გადასაღებად აქვს საქმე.

ნაკრების ექიმები ჯერჯერობით ვერ ამბობენ, რამდენად სერიოზულია მერფის ტრავმა, თუმც ისიც რომ ინგლისელთა ლაზარეთს შეუერთდა, ფაქტია. ნაკრებში ახლა უკვე ოთხი ტრავმირებული ფეხბურთელია — დევიდ ბექემი, ნიკი ბათი, კირონ დაიერი და მერფი. ამათ გარდა ასევე ლივერპულელ სტივენ ჯერარდს ტრავმის გამო ინგლისში მოუხდა დარჩენა.

ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები იმედოვნებდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებისთვის გამოჯანმრთელდებოდნენ, მაგრამ რამდენად მოხერხდება ეს ყოველივე, ძნელი სათქმელია.

სხვათა შორის, მერფიმ ტრავმას რომ მიიღო, წინა დღეს ერიკსონმა „ვესტ ჰემის" ნახევარმცველი ტრევორ სინკლერი უკან, ალბიონზე დააბრუნა — კირონ დაიერი დროულად მომჯობინდება და რაღად მინდაო. მერფის მაშავებამ სინკლერს იმედი ეგებ, დაუბრუნა კიდეც, მაგრამ...

სინკლერს სხვა მიზეზიც გამოუჩნდა სამშობლოში დასაბრუნებლად: მისი მეუღლე, რომელიც უკვე ექვსი თვის ორსულია, ავად გამხდარა და მზრუნველმა ქმარმა იგი უყურადღებოდ ვერ დატოვა.

„სინკლერს ინგლისისთვის ზურგი არ შეუქცევია, მის გადაწყვეტილებას ყველა გაგებით შეხვდა" — განაცხადა სვენ გორან ერიკსონმა.

ინგლისის ნაკრებს ფეხბურთელთა კომიტეტი ჰყავს, რომლის შემადგენლობაშიც სამი მოთამაშე შედის — დევიდ ბექემი, დევიდ სიმენი და სოლ კემპბელი. სამთა კომიტეტმა გადაწყვიტა და ნაკრების უფროსობაც დათანხმდა, რომ გუნდს მიღმა დარჩენილ სინკლერს ის პრემია მაინც მისცენ, რომელსაც გუნდის წევრები მსოფლიოს ჩემპიონობის შემთხვევაში მიიღებენ.

ცნობისთვის, მომავალ ტურნირზე წარმატების შემთხვევაში ნაკრების თითოეულ წევრს 200 ათასი გირვანქა ერგება. ასე რომ, სინკლერმა ეგებ, ფეხის გაუნძრევლად ჩაიჯიბოს ეს თანხა.

შვედი მწვრთნელი კი სინკლერზე აღარ ფიქრობს. თუ მერფი ჩემპიონატისთვის ვერ გამოკეთდა (ეს უახლოეს ორ დღეში გაირკვევა), ერიკსონი შვეიცარიაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიდან გამოვარდნილ 21-წლამდელთაგან აარჩევს ვინმეს.

ახლა ინგლისელთა უახლოეს გეგმებზეც ვთქვათ, სამხრეთ კორეასთან არაშთამბეჭდავი ფრის შემდეგ ინგლისის ნაკრები კვირას კამერუნთან გამოცდის ძალას. ამ ამხანაგურში ზემოხსენებული ლაზარეთის ხალხის გარდა, შესაძლოა, ვერც მცველმა ეშლი კოულმა ითამაშოს. არსენალელს მუხლის ძველი ტრავმა გამიზეზებია.



ტრევორ სინკლერი

# ამხანაგური მატჩები



არგენტინელი დანიელ ორტეგა ორ იაპონელს იოლად გაუსწორდა

REUTERS

**არგენტინა 5:1 კაშიმა ანთლერსი (იაპონია)**

1:0 პოჩეტინო (7), 1:1 ნოზავა (47), 2:1, 3:1, 4:1, 5:1 ბატისტუტა (49, 60, 81, 83)

არგენტინა: კავალიერო (ბურგოსი 46; ბონანო 66), პოჩეტინო (ზამორა 46), რ. აიალა, სამუელი (პლასენტე 46), ხ. ძანეტი (ხუსაინი 46), სიმეონე (ხ. ძანეტი 75), კილი გონსალესი, ვერონი (აიმარი 46), ორტეგა (გ. ლოპესი 46), კრესპო (ბატისტუტა 46), კ. ლოპესი (სორინი 46)

**ნორვეგია 1:1 ისლანდია**

0:1 ო. გუდიონსონი (5), 1:1 სოლსკიერი (60)

**ეკვადორი 0:1 სენეგალი**

0:1 დიუფი (70)

**სამხრეთ აფრიკა 2:0 თურქეთი**

1:0, 2:0 მაკარტი (59, 90)

# დაივიწყეთ! ფეხის მოტეხვა ძმაკაცურად



ოლოფ მელბერგმა ფრედერიკ ლიუნგბერგი ლამის დაახრჩო

### შვედეთი

ნაკრების ლიდერი ფრედერიკ ლიუნგბერგი და ასევე ეროვნული გუნდის წევრი ოლოფ მელბერგი ვარჯიშის დროს წაკინკლავდნენ და ერთმანეთს მუშტები მოუღერეს, თუმცა მათ დავაში ნაკრების დანარჩენი წევრები ჩაერივნენ და მოჩხუბრები გააშველეს.

მოედნიდან გასულმა ლიუნგბერგმა ჟურნალისტებს განუცხადა, „ასტონ ვილას" მცველთან რაიმე სერიოზული პირადი უთანხმოება არა მაქვს და სკანდალის აგორება არ არის საჭიროო.

„ვარჯიშისას მელბერგი ზედიზედ სამჯერ თუ ოთხჯერ შეეცადა ჩემთვის ბურთისართმევას. მაგრამ ბურთზე წამოსვლას აგვიანებდა და კინაღამ ტრავმა მომაყენა. უბრალო ვარჯიშის დროს ასეთი საქციელი დაუშვებლად მიმაჩნია და რეაქციაც შესაბამისი მქონდა. ახლა კი ყველაფერი ჩამთავრდა და მასზე ნაწყენი აღარ ვარ" — განაცხადა ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელმა.

მომხდარის გამო განგაში არც შვედეთის ფეხბურთის ფედერაციამ ატეხა. მისმა წარმომადგენელმა მეტ ენკვისტმა განაცხადა: „რა თქმა უნდა, ერთი გუნდის წევრებს შორის მცირედი უთანხმოებაც არასასიამოვნოა, მაგრამ ახლა ამ პატარა წაკინკლავების გამო ტრაგედიას ნუ შევქმნით. დარწმუნებული ვარ, ნაკრების ორივე მწვრთნელი საქმის კურსშია და ისინი ყველაფერს მოაგვარებენ".

### ხორვატია

*მეკარეები:* სტიპე პლეტიკოშა (ჰაიდუკი), ტომისლავ ბუტინა (დინამო), ვლადიმირ ვასილი (ზაგრები);

*მცველები:* რობერტ კოვაჩი (ბაიერნი, გერმანია), რობერტ იარნი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), დარიო შიმიჩი (ინტერი, იტალია), იოსიპ სიმუნიჩი (ჰერტა, გერმანია), ბორის ჟივკოვიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), დანიელ სარიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ანტონ სერიჩი (ვერონა, იტალია);

*ნახევარმცველები:* სტიეპან ტომაში (ვიჩენცა, იტალია), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), რობერტ პროსინეჩკი (პორტსმუთი), ნიკო კოვაჩი (ბაიერნი, გერმანია), იურიცა ვრანიეში (ლევერკუზენი, გერმანია), დავორ ვუგრინეცი (ლეჩე, იტალია), მილან რაპაიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მარიო სტანიჩი (ჩელსი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* ალენ ბოკშიჩი (მიდლსბრო, ინგლისი), დავორ შუკერი (მიუნხენ 1860, გერმანია), გორან ვლაოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ბოშკო ბალაბანი (ასტონ ვილა, ინგლისი), ივიცა ოლიჩი (ზაგრები)

### საუდეთი

*მეკარეები:* მოჰამედ ალ-დეაია (ალ-ჰილალი), მოჰამედ ბაბაქრ ალ-ხოჯალი (ალ-ნასრი), მაბრუქ ზაიდი (ალ-იტიჰადი);

*მცველები:* აბდალა სულეიმანე (ალ-ჰილალი), ჰუსეინ აბელ ჯანი ალ-სოლაიმანი (ალ-აჰლი), მოჰსენ ალ-ჰარეთი (ალ-ნასრი), ფავზი ალ-შეჰრი (ალ-აჰლი), აჰმედ ალ-დოხი ალ-დოსარი (ალ-ჰილალი), რედაჰ თაქერ ფალათაჰი (ალ-შაბაბი), მოჰამედ აშლუია ალ-ჯოჰანი (ალ-აჰლი), მანსურ ალ-თაქაფი (ალ-ნასრი);

*ნახევარმცველები:* ხამის ალ-უარიან ალ-დოსარი (ალ-იტიჰადი), აბდალა ალ-ვაკედი (ალ-შაბაბი), მოჰამედ ნურ ალ-ჰოსავი (ალ-იტიჰადი), ნავაფ ალ-ტემიატი (ალ-ჰილალი), აბდელ აზიზ ალ-ხათრანი (ალ-შაბაბი), ომარ ალ-ჯამედი (ალ-ჰილალი), მოჰამედ ალ-შალჰუბი (ალ-ჰილალი);

*თავდამსხმელები:* სამი ალ-ჯაბერი (ალ-ჰილალი), ალ-ჰასან ალ-იამი (ალ-იტიჰადი), აბდალა ალ-ჯამაან ალ-დოსარი (ალ-ჰილალი), ობეიდ ალ-დოსარი (ალ-აჰლი), იბრაჰიმ სუვაიედ ალ-შაჰრანი (ალ-აჰლი)

### თურქეთი

*მეკარეები:* რუშთუ რეჩბერი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ომერ ჩატკიჩი (გაზიანთეფსფორი), ზაფერ ოზგიულთეკინი (ანკარაგიუჯიუ);

*მცველები:* ბიულენთ კორქმაზი (გალათასარაი), ემრე ასიქი (გალათასარაი), ფათიჰ აკიელი (ფენერბაჰჩე), უმით ოზატი (ფენერბაჰჩე), ალფაი ოზალანი (ასტონ ვილა, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* ერგუნ პენბე (გალათასარაი), აბდულა ერკანი (ფენერბაჰჩე), ტაიფურ ჰავუტჩუ (ბეშიქთაში), თუგაი ქერიმოღლუ (ბლეკბერნი, ინგლისი), ჰაკან უნსალი (ბლეკბერნი, ინგლისი), ემრე ბელოზოღლუ (ინტერი, იტალია), ოკან ბურუკი (ინტერი, იტალია), ჰასან შაში (გალათასარაი), ილდირაი ბაშთურქი (ლევერკუზენი, გერმანია), მუზი იზეტი (ლესტერი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* ჰაკან შუქური (პარმა, იტალია), ჰასან შაში (გალათასარაი), არიფ ერდემი (გალათასარაი), ილჰან მანსიზი (ბეშიქთაში), ნიჰათ ქაჰვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი)




იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიაკოსთან"



იური ჯორკაეფი (მარცხნივ) ისევ „მამალია“

# იური ფეხბრძელი იაპონიასაც გადასწვდა

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იური ჯორკაეფი „სამფეროვანთა“ უცვლელი წევრი გახდა.

მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის კარიერა გერმანულ „კაიზერსლაუტერნში“ ვერ აეწყო, მაგრამ „ბოლტონში“ გადაბარგებულს მეორე სუნთქვა გაეხსნა. ეს არც როჟე ლემერის თვალს გამოჰპარვია და ჯორკაეფს ნაკრებში კვლავ უხმო. მისი თანაგუნდელები კი ერთხმად აღნიშნავენ, იური ძველებურად თამაშობსო. ფრანგული „ეკიპიც“ ფეხბურთელს სამუნდიალო თემაზე გაესაუბრა.

**— ამბობენ, რომ გუნდში კარგი განწყობაა. თავად როგორ ფიქრობთ?**

— თავდაპირველად გეტყვით, რომ ერთი სული მქონდა, აქაურობა მენახა. ღლეისთვის, ცხადია, მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვფიქრობთ. რაც იაპონიაში ჩამოვედით მხოლოდ სასიამოვნო სიურპრიზები გვხვდება — საფრანგეთის დროშები და ხალხი, რომელიც „ბონჟურს“ და „მერსის“ გვეუბნაბა.

**— სავარჯიშო მოედნები და პირობები როგორია?**

— მსგავსი ჯერ არსად მინახავს. მინდორი, რომელზეც ვვარჯიშობთ, ფანტასტიკურია. თანაც ის სასტუმროდან ორ ნაბიჯზეა. ცოტა პრობლემებს დროში სხვაობა გვიქმნის, მაგრამ 3-4 დღეში ესეც მოგვარდება.

**— ადგილობრივ გუნდებთან გამართული ამხანაგური მატჩები რამდენად მნიშვნელოვანია?**

— ჩამოსვლის დღიდან ყველაფერი მნიშვნელოვანი და მთავარია. უკან დარჩა მარცხი ბელგიასთან, რომელიც აღარც გვახსოვს.

**— ზიდანიც ხომ შემოგიერთდათ...**

— მან ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და დაგვიანების საპატიო მიზეზიც ჰქონდა. რაც არ უნდა იყოს, მესამე ბიჭის მამაა.



ფრანჩესკო ტოტი ჯოვანი ტრაპატონის დაუბრუნდა

# ტოტი ზიდანია?

## იტალია

**პლეიმეიკერმა** ფრანჩესკო ტოტიმ, ჩანს, ბარძაყის მომაბეზრებელი ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და გუნდთან ერთად უკვე სრულფასოვან ვარჯიშსაც შეუდგა. კვირას „სკუადრა ადზურა“ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლო ამხანაგურ მატჩს გამართავს იაპონურ „კაშიმა ანტლერსთან“ და „რომას“ ვარსკვლავიც ძირითადში იქნება.

„ახლა ტოტის მაღალ დონეზე 45-60 წუთი შეუძლია ითამაშოს, თუმცა რახან ბრუნდება, გამოდის, საქმეები უკეთესობისკენ მიდის — ამბობს იტალიელთა მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი — ტოტის მდგომარეობაზე აღარ ვნერვიულობ, მაგრამ მაინც ყურადღებით უნდა ვიყოთ, ის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ჩვენთვის, იგივეა, რაც ფრანგებისთვის ზიდანი და არგენტინელებისთვის ვერონი. მიმაჩნია, რომ ზიდანი შეტევის დაწყებისას არის უფრო ძლიერი, ტოტი კი დამთავრებისას“.

ტოტის მნიშვნელობა „ადზურასთვის“ რამდენიმე დღის წინაც დამტკიცდა, როცა მის არყოფნაში იტალიელებმა ჩეხებთან 0:1 წააგეს. თუმცა ტრაპატონი იმედს არ იტეხს და აცხადებს, ჩვენი ამოცანა-მინიმუმი ნახევარფინალში გასვლააო.

იტალიელთა საწვრთნელი ბაზა ტოკიოდან ჩრდილოეთით 400 კილომეტრშია, პირველ მატჩს კი 3 ივნისს ეკვადორთან საპოროს კოსმოსურ სტადიონზე გამართავენ.

**სოლომონ ბულისკუშვილი**

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 7 დღე

# ისინი ვერ წავიდნენ მუნდიალზე

# უიღბლოთა მსოფლიოს ნაკრები

გსმენიათ რამე ფრანგ რაინდზე არგენტინელ გენიოსზე, ირლანდიელ ლოთზე, ორ აფრიკელ ჯადოქარზე, შოტლანდიელ მცველებსა ან უელსელ მეკარეზე? ეს ის ხალხია, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატზე არასდროს უთამაშიათ. მიზეზი? უმეტესად ის, რომ მათი ქვეყნები მუნდიალზე მოხვედრას ვერ ახერხებდნენ. ჰოდა, სააგენტო AFP-მ გადაწყვიტა შეედგინა და თქვენს სამსჯავროზე გამოეტანა მსოფლიო ნაკრები, ოღონდ იმ ვარსკვლავებისგან შედგენილი, რომლებიც მუნდიალს ჩვენსავით, მაყურებლის პოზიციიდან იცნობენ. აქვე დავძინოთ, რომ სააგენტო ძირითადად ბრიტანეთზეა ორიენტირებული, მაგრამ, მაინც

### ნევილ საუთჰოლი (უელსი)



ამ მეკარემ ნაკრებში 92-ჯერ ითამაშა — უელსისთვის რეკორდია! „ევერტონში“ რომ გამოდიოდა, ორჯერ ინგლისის ჩემპიონი გახდა, 1985 წელს კი თასების თასი მოიპოვა. ერთხელ, მისმა ნაკრებმა ჰოლანდიასთან 0:7 წააგო და ის შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ახლა განსაჯეთ, რა დონის მეკარე გახლდათ და რა დონის ნაკრებში თამაშობდა.

### ტომი ჯემილი (შოტლანდია)



1967 წელს „სელტიკთან“ ერთად ჩემპიონთა თასი მოიპოვა და ფინალში გოლიც შეაგდო, თუმცა იგი უფრო უკომპრომისო მცველად გახლდათ ცნობილი. შოტლანდიის ნაკრებში იმ პერიოდში თამაშობდა, როდესაც გუნდი ერთხელაც ვერ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. „სელტიკის“ შემადგენლობაში 400 შეხვედრა გამართა და ექვსჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი.

### აბედი პელე (განა)



„მარსელის“ შემადგენლობაში 1993 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი ორჯერ დაასახელეს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად. შემდეგ თამაშობდა „ტორინოსა“ და „ლიონში“. 17 წლისამ განის ნაკრებთან ერთად აფრიკის თასი მოიპოვა.

### ბერნდ შუსტერი (გერმანია)



1980 წელს იტალიაში ევროპის ჩემპიონატზე 21 წლისამ მიიღო მონაწილეობა. „კიოლნიდან“ „ბარსელონაში“ გადავიდა, სადაც რვა დიდებული წელიწადი გაატარა და თასების თასიც მოიგო. 23 წლისამ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა და სიტყვა ბოლომდე აღარ გატეხა. „კიოლნის“ და „ბარსელონას“ გარდა იყო „რეალში“, „ატლეტიკოსა“ და „ლევერკუზენში“.

### ჯონ გრეიგი (შოტლანდია)



ეს რეინჯერსელი 44 სანაკრებო შეხვედრაში მონაწილეობდა. იყო ეროვნული გუნდისა და კლუბის კაპიტანი, ნათამაშევი აქვს ჩემპიონთა თასის ფინალი, ოღონდ დიდი კარიერის მიუხედავად, ნაკრებში ყველაზე თვალსაჩინო მიღწევა 1967 წელს ჰქონდა, როდესაც „უემბლიზე“ შოტლანდიამ ინგლისს მოუგო და გული მოიფხანა.

### ერიკ კანტონა (საფრანგეთი)



ნაკრებში 45-ჯერ კი ათამაშეს, მაგრამ, საბოლოოდ ფრანგული ფეხბურთის ცუდ ბიჭად ჩამოყალიბდა. საკლუბო დონეზე კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ თილისმად და გმირთა გმირად იქცა.

### ჯორჯ ბესტი (ჩრდ. ირლანდია)



გარემარბთა შორის ერთ-ერთი უდიდესი იყო. „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში 1968 წელს მოიგო ჩემპიონთა თასი. გამოირჩეოდა სწრაფი და მოულოდნელი მოქმედებებით. გალოთდა.

### მარკ ლოურენსონი (ირლანდია)



1984 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი „ლივერპულის“ დაცვის ცენტრალური ფიგურა გახლდათ. ირლანდიის ნაკრებში 39-ჯერ ითამაშა და კარიერა აქილევსის მყესის ტრავმის გამო 1988 წელს ანუ ეროვნული გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლამდე ორი წლით ადრე დაასრულა.

### ლაიამ ბრეიდი (ირლანდია)



ნაკრებში 72-ჯერ ითამაშა. 1970-იან და 80-იან წლებში „არსენალის“ გული იყო, შემდეგ კი იტალიაში გადავიდა და „სამპდორიასა“ და „ასკოლიში“ ირჯებოდა. ფეხბურთელობას ლოურენსონისა არ იყოს, თავი მაინცდამაინც 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დაანება.

### ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა)



ის ორჯერ გახლდათ ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი. კარიერა გაატარა „რივერ პლეიტში“, „ბარსელონასა“ და „რეალში“, თუმცა „საქმენი საგმირონი“ „რეალში“ გადახდა — მოგეხსენებათ, იმ წლებში მადრიდელებმა ხუთჯერ მოიგეს ევროპის ჩემპიონთა თასი. აქედან, პირველ ოთხ ფინალში დი სტეფანომ თითო გოლი გაიტანა, ხოლო მეხუთეში, ჰეთ თრიქი შეასრულა. რაც შეეხება ნაკრებს, მას ორ გუნდში აქვს ნათამაშევი, არგენტინასა და ესპანეთში, თუმცა ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ყოფილა.

### ჟორჟ ვეა (ლიბერია)



35 წლისა იყო, ისტორიაში პირველ აფრიკელად რომ იქცა, ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად რომ აღიარა. კარიერის მწვერვალი პსჟ-სა და „მილანში“ გაატარა.

აქ უიღბლოთა თუ იღბალგაქცეულთა ერთი ნაკრები წარმოგიდგინეთ, ასეთის შედგენა მრავლად შეიძლება.

რაიან რობინსონმა, ინგლისელმა ფეხბურთელმა, რაკილა მამა ყურადღებას არ აქცევდა, დედის გვარის ტარება და დედისავე ეროვნების მიღება არჩია — რაიან გიგზის ფეხბურთელობას ამით არაფერი დააკლდა, მაგრამ უელსის ნაკრებში მოთამაშეს მსოფლიოს პირველობაზე მოხვედრის შანსი პრაქტიკულად არ აქვს.

ასეთი ფეხბურთელები კი, როგორც მოგახსენეთ, მრავლად არიან

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

A ჯგუფი. III ტური

# პაძალდური

## სანერვიულო აბა, რა იყო




პორტუგალიელთა სიხარული ნაადრევი იყო, ნახევარფინალს მაინც ვერ უწიეს

**შვეიცარია 0:0 იტალია**

**შვეიცარია:** ბენეი, მაიერი, გრიხტინგი, კელერი, ფრიდლი, ზანი, როშა, ბერიშა, კაბანასი, გიგაძე (ბიელი 62), ფრეი (დენიკოლა 85)

**მწვრთნელი:** ბერნარ შალანდესი

**იტალია:** პელიცოლი, ბელინი, ფერარი, მარკონი, ბრიგა, მაკარონე, პირლო, ლუკონი, ნატალი, ბლაზი, იაკინტა

**მწვრთნელი:** კლაუდიო ჯენტილე

**გაფრთხილება:** პირლო, ბელინი, მარკონი, ბერიშა, ნატალი

**მსაჯი:** იაცეკ გრანატი (პოლონეთი)

30 000 მაყურებელი

**ბოლო ტურის** წინ ამ ჯგუფში ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ოთხივე გუნდს ჰქონდა ნახევარფინალში გასვლის შანსი. თუმცა იტალიამ და შვეიცარიამ იძალეს და... ისე, მათ ამაში ხელი ინგლისის უსუსურობამაც შეუწყო.

მატჩი იტალიელთა კარნახით წარიმართა, თუმცა „სკუადრა აძურას" მაინც აკლდა აგრესიულობა. ყველაზე მეტად შვეიცარიელთა კარს, წინა ტურის გმირი მასიმო მაკარონე ემუქრებოდა, რომელსაც უკვე მესამე წუთზე შეეძლო ნიკოლას ბენეის გაწბილება, თუმცა შვეიცარიელ მეკარეს მშვენივრად სტეფან გრიხტინგი მოევლინა. მან კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი და სახიფათო მომენტიც ამით განიმუხტა.

ჩემპიონატის მასპინძლებს რაიმე რეალური საგოლე შანსი არ მისცემიათ და არც ევროპის მოქმედ ჩემპიონებს მოუკლავთ მაინცდამაინც თავი.

დარჩენილ დროში ერთადერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი შეიქმნა, როდესაც ისევ მასიმო მაკარონე დაემუქრა მეტოქის კარს, თუმცა მისი დარტყმული ბენეიმ ფეხით მოიგერია და ვინჩენცო იაკინტას დამატებულზეც ივარგა. ეს 22-ე წუთზე მოხდა.

ამის შემდეგ მეტოქეებმა უფრო ფრთხილი თამაში არჩიეს და უგოლო ფრითაც დაასრულეს შეხვედრა. მით უმეტეს, მათ პორტუგალია — ინგლისის მატჩის მიმდინარეობის გაგებაც არ უჭირდათ და სანერვიულო აბა, რა იყო?..

ამგვარად, იტალია და შვეიცარია ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქეები შესაბამისად ჩეხეთი და საფრანგეთი იქნებიან.

**პორტუგალია 3:1 ინგლისი**

1:0 ტიაგო (7), 2:0 მაკუკულა (20პ), 2:1 სმიტი (43), 3:1 უგო ვიანა (69)

**პორტუგალია:** სერჟიუ ლეიტე, ჟოსე ფაისკა, ტონელი, ჟორჟე რიბეირუ, უგო ვიანა, ტიაგო (მიგუელი 61), პედრუ მენდეში, მაკუკულა (პაულუ კოშტა 56), სემედუ, ედნილსონი (ნეცა 79), ბრუნო ალვეში

**მწვრთნელი:** აგოსტინიუ ოლივეირა

**ინგლისი:** პ. რობინსონი, იანგი, კონჩესკი, ბერი, დანი, გრინინგი (ამეობი 31), პენანტი (მარკერი 77), პრაუტონი, ნაითი, დეფო (ზამორა 66), ა. სმიტი

**მწვრთნელი:** დევიდ პლატი

**გაფრთხილება:** იანგი, დანი, სერჟიუ ლეიტე, ნეცა, ბერი, იგო (პორტუგალიელთა სათადარიგო სკამზე)

**მსაჯი:** ეროლ ერსოი (თურქეთი)

20 000 მაყურებელი

**წინა ორ მატჩში** კინკილა ქულის დამგროვებელმა პორტუგალიამ ინგლისს კი მოუგო, მაგრამ...

პორტუგალიელებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს მეტოქეს. მათ მოგება აუცილებლად სჭირდებოდათ, თან ცალი ყურით იტალია — შვეიცარიის შედეგიც აინტერესებდათ. მართალია, იქიდან სანუგეშოს ვერაფერს გებულობდნენ, მაგრამ თავად ყურები არ ჩამოუყრიათ და ინგლისს ნახევარფინალის კარი ცხვირწინ მიუჯახუნეს. ავი ძალლისა არ იყოს, გამარჯვების მიუხედავად, პორტუგალიელებიც სანახევარფინალო კარის მიღმა დარჩნენ, მაგრამ... მათ ის მიიღეს, რაც დაიმსახურეს.

ინგლისელებს პირველი გოლი ტიაგომ გაუტანა, მე-7 წუთზე ახლოდან დალაშქრა პოლ რობინსონის კარი. დევიდ პლატის შეგირდებს მალევე კი შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა, თუმც სერჟიუ ლეიტემ იყოჩაღა და ლუკ იანგს არ გაატანინა.

მე-20 წუთზე კი პოლ კონჩესკიმ საკუთარ საჯარიმოში სემედუ მოცელა. პენალტი აზიზა მაკუკულამ გამოიყენა — 2:0.

ინგლისელებმა ტაიმის მიწურულსღა შეძლეს გააქტიურება და 43-ე წუთზე ალან სმიტმა ერთი გოლი გაქვითა. სმიტის კარგმა თამაშმა მეორე ტაიმში გვარიანად აანერვიულა პორტუგალიელები, თუმცა 69-ე წუთზე საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა უგო ვიანამ მესამედ დაამწუხრა პოლ რობინსონი და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა. აქვე ვთქვათ, რომ ახალგაზრდა უგო ვიანა პორტუგალიის ეროვნული გუნდის წევრიც არის და კორეა-იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშებს...

**ძახა ზალამბერიძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ინგლისი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |

იტალია და შვეიცარია გავიდნენ ნახევარფინალში

**ნახევარფინალი. 25 მაისი**

**საფრანგეთი — შვეიცარია**

**იტალია — ჩეხეთი**

ფინალი გაიმართება 28 მაისს ბაზელში

### ფეხბურთის რუკასთან



**კამერუნის** ნაკრებისა და ესპანური „ესტრემადურას" ფეხბურთელმა რაიმონ კალამ გერმანულ „ბოხუმთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ „ბოხუმმა" ბუნდესლიგის საგზური წლეულს მოიპოვა და უკვე პირველი შენაძენიც გააკეთა. 27 წლის რაიმონ კალას კამერუნის ნაკრებში 80 მატჩში ჩაუტარებია.

**ბელგიის** ნაკრებისა და გერმანული „შალკეს" თავდამსხმელმა ემილ მპენზამ ოპერაცია გაიკეთა. წინასწარი ცნობით, ფეხბურთელი ვარჯიშს ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყებს.

**თურქულმა** „გალათასარაიმ" კვლავაც ახალი ფეხბურთელების გადაბირებაზე დაიწყო ზრუნვა და ამჯერად მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელ კარსტენ იანკერს დაადგა თვალი. გავრცელებული ხმების თანახმად, თურქები უკვე შეუთანხმდნენ ფეხბურთელს ორწლიან კონტრაქტზე, ამ ხნის განმავლობაში იანკერი 5 მილიონ ევროს მიიღებს. თუმც ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი მაინც არსებობს. საქმე ისაა, რომ „გალათასარაი" „ბაიერნს" 4,5 მილიონ ევროს სთავაზობს, მიუნხენელები კი სამი მილიონით მეტს ითხოვენ.

**საფრანგეთის** პირველ დივიზიონში წლეულს დაბრუნებული „სტრასბური" ინგლისური „ლივერპულის" ფრანგი თავდამსხმელით ბერნარ დიომედით დაინტერესდა. „იმედი მაქვს, მალე ძველებურად ავთამაშდები. „ლივერპულს" უჩემოდაც კარგად გამოსდის თამაში, ამიტომ არ მწყდება გული, რომ მოედანზე გასვლა თითქმის არ მიწევდა. ახლა უნდა მოვინდომო და ხალხს თავი შევახსენო" — განაცხადა 28 წლის ფეხბურთელმა, რომელიც 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონია. მის გადაბირებას კი „სტრასბურის" გარდა „ბასტია" და „ლილიც" ცდილობენ.

**ალჟირის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მოჰამედ პარაიემ ნაკრების თავკაცი რაბა მაჯერი თანამდებობიდან გაათავისუფლა. საქმე ისაა, რომ ბელგია — ალჟირის (0:0) ამხანაგური მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას მაჯერმა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები აუგად მოიხსენია, რაც პარაიემ ვერ აიტანა და მწვრთნელსაც კარისკენ მიუთითა. შეგახსენებთ, რომ რაბა მაჯერმა ნაკრები 2001 წლის ივნისში ჩაიბარა და ხუთწლიანი კონტრაქტიც გააფორმა, თუმც ახლა ალჟირის ნაკრებს აქამდე ტექნიკურ დირექტორად მომუშავე ხამიდ ზუბა უთავკაცებს, რომელიც ადრე უკვე წვრთნიდა ეროვნულ გუნდს. როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებას ფრანგებთან — რობერ ნუზარესთან, ალან ჟირესთან და ჟან-კლოდ სიუოდოსთან აწარმოებს.

**არგენტინული** „რივერ პლეიტის" ხელმძღვანელობამ, წარმატებული სეზონის მიუხედავად, მწვრთნელი რამონ დიასი დაითხოვა, მის ნაცვლად კი ჩილელ მანუელ პელეგრინის მიწვევას აპირებს. „პელეგრინი მზადაა, კლუბს უთავკაცოს. ახლა მხოლოდ რამდენიმე დეტალი დაგვრჩა შესათანხმებელი. იმედი მაქვს, კონტრაქტს მალე გავაფორმებთ" — განაცხადა „რივერ პლეიტის" პრეზიდენტმა ხოსე მარია აგილარმა. ჩილელი სპეციალისტის ყოველწლიური ხელფასი, სავარაუდოდ, ერთი მილიონი პესო იქნება.

**შოტლანდიის** ჩემპიონი გლაზგოს „სელტიკი" თურქ მცველ უმით ოზატს ეკურკურება. „ფენერბაჩეს" ფეხბურთელი ამჟამად თურქეთის ნაკრებს ახლავს სამსოფლიოჩემპიონატო შეკრებაზე. „სელტიკის" თავკაცი მარტინ ონილი აპირებს, უმითს მსოფლიოს ჩემპიონატზეც დააკვირდეს და მისი ტრანსფერიც ამის შემდეგ უნდა შედგეს.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ, კლუბის სათამაშო სტილი არ მომწონსო და... მისი გადაბირების სურვილი მყისვე გამოთქვა მადრიდის „რეალმა". თუმც ესპანელებმა ისიც აღნიშნეს, რომ „მანჩესტერი" მასში დიდ თანხას მოითხოვს, რის გამოც ეს ტრანსფერი ეგებ არც შედგეს.

**არგენტინის** ჩემპიონატის მესამე დივიზიონის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ გულშემატკივართა შორის ატეხილი ჩხუბის შედეგად 10 წლის ნესტორ გალარსა გარდაიცვალა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ნესტორ გალარსას ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენეს სასიკვდილო ჭრილობა.

**ესპანური** „ბარსელონას" ნახევარმცველმა გაბრიმ განაცხადა, დიდი იმედი მაქვს, კლუბში მომავალ სეზონშიც დავრჩებიო. ფეხბურთელი ჯერ არ შეთანხმებულა კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის გაფორმების თაობაზე, თუმც იმედოვნებს, რომ ეს მალე მოხდება. „აქ კიდევ ორი წელი უნდა ვითამაშო, თუმც ჩემი კარიერა მწვრთნელზეც დიდადაა დამოკიდებული. ჯერ არ ვიცი, რას ფიქრობს ჩემზე ლუის ვან გაალი — თქვა გაბრიმ — ის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოში და ძალიან კარგი მწვრთნელია."

## პოლონეთი

**ლიგის თასის ფინალი**

**პირველი მატჩი**

**ლეგია 3:0 ვისლა**

1:0 სოკოლოვსკი (17), 2:0 ვრობლევსკი (68), 3:0 სვიტლიცა (82)

8 000 მაყურებელი

საპასუხო მატჩი გაიმართება 25 მაისს კრაკოვში

## ამხანაგური მატჩები

**ფინეთი 2:1 ლატვია**

0:1 პახარსი (40), 1:1 რიიჰილაჰტი (70), 2:1 კუქი (83)

**ჰონ კონგი 0:4 შოტლანდია**

0:1 კ. კილი (22), 0:2 ს. ტომპსონი (36), 0:3 დეილი (50), 0:4 ჯემილი (71)

## ჰოლანდია

**გადასასვლელი პლეი ოფი**

**A ჯგუფი. V ტური**

როზენდალი — ემენი 2:2, დენ ბოსხი — კამბური 5:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენდალი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:8 | 11 |
| დენ ბოსხი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:9 | 10 |
| ემენი | 5 | 1 | 1 | 3 | 10:12 | 4 |
| კამბური | 5 | 1 | 0 | 4 | 8:17 | 3 |

**B ჯგუფი. V ტური**

ექსელსიორი — სპარტა 2:1, დენ ჰააგი — ვოლენდამის მატჩი 28-ე წუთზე ჩაიშალა, როცა ანგარიში იყო 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსელსიორი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| სპარტა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| დენ ჰააგი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| ვოლენდამი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:12 | 3 |

# რა ელის ლის?

## ბოიერი თითს მიჰყვება

**განხეთქილება**, ალბათ, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. პაკისტანელი სტუდენტის გასილაქებაში ეჭვმიტანილი ლი ბოიერი და ძმანი მისნი გეხსომებათ. საბოლოოდ მათი ბრალეულობა არ დამტკიცდა, მაგრამ საფეხბურთო კლუბმა „ლიდს იუნაიტედმა" ფეხბურთელების დაჯარიმება მაინც გადაწყვიტა. ლი ბოიერმა ფულის გადახდაზე უარი სტკიცა, არც რამე დამიშავებია და არც რას გავიღებო.

გავიდა ხანი. პრემიერლიგა დასრულდა. ვითარება მიწყნარდა. კლუბმა ლი ბოიერთან ახალ კონტრაქტზე დაიწყო ლაპარაკი. თითქოს ყველაფერიც ორმხრივი ხელმოწერისკენ მიდიოდა, მაგრამ ბოიერმა ისევ უარი დაახეთქა. მას ხუთწლიან კონტრაქტს და წლიურად ორ მილიონ გირვანქას სთავაზობდნენ, მაგრამ კაცია და გუნება, არ მსურსო.

ეს რომ „ლიდსის" პრეზიდენტმა პიტერ რიდსდეილმა შეიტყო, წარბები შეკრა საშინლად განრისხდა და თითი კარისკენ გაიშვირა. თითმა ლი ბოიერს ანიშნა, კლუბიდან სწრაფად უნდა მოგიშოროთო.

პიტერ რიდსდეილი: „ლი ბოიერის კონტრაქტის ვადა მომავალ წელს იწურება, ამიტომ გამოსავალი ერთია — დაუყოვნებლივ დავაყენებ ტრანსფერზე და პირველივე მსურველს გავატან. მან ძალიან მაწყენინა, იდეალურ პირობებს ვთავაზობდი, რითაც კლუბის ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი გახდებოდა. არ უნდა? ნება მისია".

ლი ბოიერი ის კაცი არაა, მსურველი არ გამოუჩნდეს. პიტერ რიდსდეილს გაშვერილი თითი ჯერაც არ მოეხარა, რომ „ლივერპულმა", „არსენალმა" და კევინ კიგანმა თავისი „მანჩესტერ სიტით" „ლიდსის" კარებზე დააკაკუნეს — ეგ ბიჭი ჩვენ მოგვწონსო. ვის აირჩევს ლი ბოიერი, თავად გადაწყვეტს, მით უმეტეს, საქმე ასარჩევად აქვს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ლი ბოიერი




იყიდება სასწრაფოდ!

ლაზერული პრინტერი

LASERJET 5000N

ნახმარ მდგომარეობაში

ტელ. 38-11-14, 39-48-29

ფასი შეთანხმებით



ჩემპიონთა ლიგაში „რეალის" გამარჯვებამ „დეპორტივოს" საქმე გაურთულა

# რეალმა აურ-დაურია

საქართველოს ჩემპიონატი დასრულდა. არადა, მოგეხსენებათ, გუშინწინდელ ბოლო ტურის მატჩებს შედეგთა ვარიანტების გათვალისწინებით, შესაძლოა ჩემპიონი ვერ გამოევლინა და ამისთვის თანაბარქულიანთა შორის გადათამაშება გამხდარიყო საჭირო. ეს იმის მაუწყებელიც იქნებოდა, რომ ქვემოთ მოცემულ ცხრილში საქართველოდან ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე გუნდის სახელის ნაცვლად კითხვის ნიშანი ენერებოდა.

ევროპული ჩემპიონატების აბსოლუტური უმრავლესობა დამთავრებულია, მაგრამ აქა-იქ კითხვის ნიშნები ჯერაც გვხვდება, თუმცა 2002-03 წლების ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მაძიებელი ყველა გუნდის ვინაობა სულ მალე გახდება ცნობილი.

გასარკვევი სხვა რამეც არის. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე თექვსმეტი გუნდი პირდაპირ, საკვალიფიკაციო ეტაპების გაუვლელად ხვდება. აქ ასეთი წესია: საუკეთესო რეიტინგის მქონე ქვეყნების თხუთმეტი გუნდი პლუს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. ასევე, მოგეხსენებათ, რომ ესპანეთიდან, სეზონის შედეგების მიხედვით, ჯგუფურ ეტაპზე „ვალენსია" და „დეპორტივო" პირდაპირ უნდა ჩაესვათ, მაგრამ რაკი ლიგა ესპანურმა გუნდმა, მადრიდის „რეალმა" მოიგო, უეფას კი ერთი ქვეყნიდან სამი გუნდის ლიგაში პირდაპირ გაყვანის პრაქტიკა არ აქვს, რალაც-რალაცეები კიდევ დასაზუსტებელია. კერძოდ, ესპანეთს ლიგაში პირდაპირ „რეალი" და „ვალენსია" გაჰყავს, ხოლო რომელი ქვეყნის გუნდი დაიკავებს „დეპორტივოს" ადგილს, უეფას ჯერ არ გადაუწყვეტია.

## ჩემპიონთა ლიგა 2002 2003 უეფას თასი

| ჩემპიონთა ლიგა: ჯგუფური ეტაპი | III საკვალ. ეტაპი | II საკვალ. ეტაპი | I საკვალ. ეტაპი | | | | უეფას თასი: საკვალიფიკაციო ეტაპი | პირველი ეტაპი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი, ვალენსია | დეპორტივო, ბარსელონა | | | 4 | ესპანეთი | 3 | | სელტა, ბეტისი, ალავესი |
| იუვენტუსი, რომა | ინტერი, მილანი | | | 4 | იტალია | 3 | | პარმა, კიევო, ლაციო |
| არსენალი, ლივერპული | მანჩესტერი, ნიუკასლი | | | 4 | ინგლისი | 3 | | ჩელსი, ბლექბერნი, ლიდსი |
| დორტმუნდი, ლევერკუზენი | ბაიერნი | | | 3 | გერმანია | 3 | | შალკე, ჰერტა, ვერდერი |
| ლიონი, ლანსი | ოსერი | | | 3 | საფრანგეთი | 3 | | ლორიანი, ბორდო, პარი სენ ჟერმენი |
| აიაქსი, პსვ ეინდჰოვენი | ფეიენოორდი | | | 3 | ჰოლანდია | 3 | | უტრეხტი, ჰერენვენი, ვიტესი |
| გალათასარაი | ფენერბაჰჩე | | | 2 | თურქეთი | 4 | | ქოჯაელი, ბეშიქთაში, ანკარაგიუჯიუ, დენიზლი |
| ოლიმპიაკოსი | აეკ | | | 2 | საბერძნეთი | 4 | | პანათინაიკოსი, პაოკ, ქსანთი, ირაკლისი |
| სპარტაკი | ლოკომოტივი | | | 2 | რუსეთი | 2 | ზენიტი | ცსკა |
| | სპორტინგი | ბოავიშტა | | 2 | პორტუგალია | 2 | პორტუ | ლეიქსოეში |
| | ლიბერეცი | სპარტა | | 2 | ჩეხეთი | 2 | ჟიჟკოვი | სლავია |
| | გენკი | ბრიუგე | | 2 | ბელგია | 2 | ანდერლეხტი | მუსკრონი |
| | ? | ? | | 2 | უკრაინა | 2 | ? | ? |
| | ტიროლი | შტურმი | | 2 | ავსტრია | 2 | აუსტრია | გრაცერი |
| | რუსენბორგი | ლილესტრიომი | | 2 | ნორვეგია | 2 | სტაბეკი | ვიკინგი |
| | | სელტიკი | | 1 | შოტლანდია | 3 | აბერდინი, ლივინგსტონი | გლაზგო რეინჯერსი |
| | | ბაზელი | | 1 | შვეიცარია | 3 | გრასჰოპერი, ლუგანო, სერვეტი | |
| | | ზაგრები | | 1 | ხორვატია | 3 | დინამო, ჰაიდუკი, ვარტექსი | |
| | | ჰამარბი | | 1 | შვედეთი | 3 | გიოტებორგი, იურგორდენი, აიკ | |
| | | ლეგია | | 1 | პოლონეთი | 3 | ვისლა, ამიცა, პოლონია | |
| | | ბრონდბიუ | | 1 | დანია | 3 | ოდენსე, კოპენჰაგენი, მიდტიულანდი | |
| | | ? | | 1 | რუმინეთი | 2 | ?,? | |
| | | ? | | 1 | იუგოსლავია | 2 | ?,? | |
| | | ზალაეგერსეგი | | 1 | უნგრეთი | 2 | უიპეშტი, ფერენცვაროში | |
| | | ჟილინა | | 1 | სლოვაკეთი | 2 | კობა სენეცი, ინტერი | |
| | | მაკაბი (ჰაიფა) | | 1 | ისრაელი | 2 | ?, ჰაპოელი (თელ ავივი) | |
| | | | მარიბორი | 1 | სლოვენია | 2 | ნოვა გორიცა, პრიმორიე | |
| | | | ლევსკი | 1 | ბულგარეთი | 2 | ცსკა, ლიტექსი | |
| | | | აპოელი | 1 | კვიპროსი | 2 | ეთნიკოსი (აშნა), ანართოსისი | |
| | | | ტორპედო | 1 | საქართველო | 2 | ლოკომოტივი, დინამო | |
| | | | ტამპერე | 1 | ფინეთი | 2 | ?, ჰიკ | |
| | | | სკონტო | 1 | ლატვია | 2 | დინაბურგი, ვენტსპილსი | |
| | | | აკრანესი | 1 | ისლანდია | 2 | ფილკირი, ვესტმანაეიარი | |
| | | | ბელშინა | 1 | ბელარუსი | 2 | ?, დინამო (მინსკი) | |
| | | | შერიფი | 1 | მოლდოვა | 2 | ნისტრუ, ზიმბრუ | |
| | | | კაუნასი | 1 | ლიტვა | 2 | სუდავა, ატლანტასი | |
| | | | ? | 1 | მაკედონია | 2 | პობედა, ? | |
| | | | შელბურნი | 1 | ირლანდია | 2 | დანდალკი, შემროკ როვერსი | |
| | | | ფლორა | 1 | ესტონეთი | 2 | ლევადია (მაარდუ), ტულევიკი | |
| | | | პიუნიკი | 1 | სომხეთი | 2 | ზვარტნოცი, სპარტაკი | |
| | | | ბარი თაუნი | 1 | უელსი | 2 | ბანგორ სიტი, ლანსანტფრეიდი | |
| | | | ? | 1 | აზერბაიჯანი | 2 | ?,? | |
| | | | ჰიბერნიანსი | 1 | მალტა | 2 | ბირკირკარა, სლიმა უონდერერზი | |
| | | | | | ლიხტენშტაინი | 1 | ვადუცი | |
| | | | პორტადაუნი | 1 | ჩრდ. ირლანდია | 2 | ლინფილდი, გლენტორანი | |
| | | | ჟელეზნიჩარი | 1 | ბოსნია | 2 | ?, შიროკი ბრიაგი | |
| | | | დუდელანჟი | 1 | ლუქსემბურგი | 2 | ?, გრევენმახერი | |
| | | | ბ36 ტორსჰავენი | 1 | ფარერები | 2 | კლაქსვიკარი, გი გოტუ | |
| | | | ? | 1 | ალბანეთი | 2 | ?,? | |
| | | | | | ანდორა | 1 | ენკამპი | |
| | | | | | სან მარინო | 1 | დომანანო | |

ფეირ პლეის 3 რჩეული

ინტერტოტოს თასის 3 გამარჯვებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია ბ. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 001 | ანკონა-ემპოლი | 2,2 | 1,8 | 4,2 | 1 | 1,4 | 1,25 |
| 18.00 | 002 | კომო-ჩიტადელა | 1,3 | 3,5 | 7,0 | 1 | 1 | 2,3 |
| 18.00 | 004 | ჯენოა-კალიარი | 2,3 | 1,3 | 6,0 | 1 | 1,65 | 1,05 |
| 18.00 | 005 | მესინა-მოდენა | 1,3 | 3,6 | 4,2 | 1 | 1 | 1,9 |
| 18.00 | 006 | პისტოიეზე-კროტონე | 1,85 | 2,5 | 4,4 | 1,05 | 1,3 | 1,55 |
| 18.00 | 007 | სალერნიტანა-ბარი | 2,0 | 2,0 | 5,0 | 1 | 1,4 | 1,4 |
| 18.00 | 008 | სიენა-ნაპოლი | 1,65 | 3,4 | 2,6 | 1,1 | 1 | 1,45 |
| 18.00 | 009 | ტერნანა-რეჯინა | 1,55 | 2,5 | 4,0 | 1 | 1,1 | 1,5 |
| | | **იტალია ც1. პლეი-ოფი. მე-2 მატჩები.** | | | | | | |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 011 | სპეცია-ტრიესტინა | 1,6 | 3,0 | 5,6 | 1 | 1,2 | 1,9 |
| 19:30 | 012 | ლუმეცანე-ტრევიზო | 1,8 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 19:30 | 013 | ტარანტო-ლანჩანო | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,25 | 2 |
| 19:30 | 014 | კატანია-პესკარა | 2,0 | 2,5 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| | | **იტალია ც1. პლეი-აუტი. მე-2 მატჩები.** | | | | | | |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 015 | კარარეზე-არეცო | 1,75 | 2,9 | 4,4 | 1,05 | 1,2 | 1,7 |
| 19:30 | 016 | რეჯანა-ალცანო | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,05 | 1,25 | 1,9 |
| 19:30 | 017 | ლი სანჯორი-სორა | 1,7 | 3,0 | 4,4 | 1,05 | 1,2 | 1,75 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXXII ტური** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 00.30 | 019 | სპორტინგი-უელვა | 2,4 | 2,6 | 2,9 | 1,2 | 1,3 | 1,35 |
| 00.30 | 020 | ბადახოსი-სალამანკა | 2,3 | 2,8 | 3,1 | 1,25 | 1,3 | 1,45 |
| 00.30 | 021 | ალბასეტე-ლეგანესი | 2,2 | 1,8 | 3,3 | 1 | 1,3 | 1,15 |
| 00.30 | 022 | კორდობა-ეხიდო | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 00.30 | 023 | ელჩე-ეიბარი | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 00.30 | 025 | ატლეტიკო-მურსია | 1,55 | 3,2 | 4,7 | 1 | 1,15 | 1,9 |
| 00.30 | 029 | ხერესი-ოვიედო | 2,1 | 2,9 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| | | **ჰოლანდია. პლეი-ოფი.** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 034 | კამბური-როზენდალი | 4,4 | 3,5 | 1,5 | 1,9 | 1,1 | 1 |
| 22:30 | 035 | ემენი-დენ ბოსხი | 4,4 | 3,5 | 1,5 | 1,9 | 1,1 | 1 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 036 | ვოლენდამი-ექსელსიორი | 4,0 | 2,1 | 1,9 | 1,35 | 1,25 | 1 |
| 17:30 | 037 | სპარტა-დენ ჰააგი | 1,4 | 3,6 | 5,6 | 1 | 1,1 | 2,15 |
| | | **ნორვეგია. IX ტური** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 042 | ვოლერენგა-როზენბორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 043 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრომი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 21.00 | 044 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,65 |
| 21.00 | 045 | ბრინი-მოსი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 046 | სოგნდალი-ვიკინგი | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 21.00 | 047 | სტარტი-მოლდე | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 048 | სტაბეკი-ლინი | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| | | **ფინეთი. VI ტური** | | | | | | |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 049 | ჰაკა-ვპსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 20.30 | 050 | ლაჰტი-კუოპიო | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 20.30 | 051 | მიუპა-ინტერი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 20.30 | 052 | ვაასა-ალიანსი | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 053 | ჰჯკ-იარო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 20.30 | 054 | ჰამეენლინა-ტამპერე | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| | | **პოლონეთი. ლიგის თასის ფინალი. მე-2 მატჩი** | | | | | | |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 060 | ვისლა-ლეგია | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 408 | მალაიზია-ბრაზილია | 10,0 | 5,0 | 1,05 | 3,3 | 1 | 1 |
| 15.20 | 409 | იაპონია-შვედეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 16.45 | 410 | ნიგერია-პორტუგალია | 3,8 | 3,2 | 1,8 | 1,7 | 1,2 | 1,1 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 10.00 | 411 | ბელგია-კოსტა რიკა (ნეიტრ.) | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 11.00 | 412 | დანია-ტუნისი (ნეიტრ.) | 1,7 | 3,1 | 4,4 | 1 | 1,2 | 1,8 |
| 11.00 | 413 | ინგლისი-კამერუნი (ნეიტრ.) | 1,9 | 3,1 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| 13.00 | 414 | კორეა-საფრანგეთი | 5,0 | 3,2 | 1,65 | 1,9 | 1,2 | 1,05 |
| | | **ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე).** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 419 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 23.30 | 420 | იტალია-ჩეხეთი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ნბა პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 06.00 | 502 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,25 | 12,0 | 3,1 | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 02.30 | 503 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 | | | |

**ფორმულა 1. VII რბოლა (მონაკო). 26 მაისი**

**15.00 801 რბოლის გამარჯვებული**

| | |
|---|---|
| მ.შუმახერი | 1,5 |
| ბარიკელო | 3,5 |
| რ.შუმახერი | 6,0 |
| მონტოია | 7,0 |
| კულთჰარდი | 15,0 |
| რაიკონენი | 25,0 |
| ბატონი | 40,0 |
| ჰაიდფელდი | 50,0 |

**15.00. 802. უსწრაფესი წრე**

| | |
|---|---|
| მ.შუმახერი | 2,0 |
| ბარიკელო | 3,0 |
| რ.შუმახერი | 5,0 |
| მონტოია | 6,0 |
| კულთჰარდი | 8,0 |
| რაიკონენი | 12,0 |
| ბატონი | 25,0 |
| ჰაიდფელდი | 30,0 |

**15.00. 803. რამდენი პილოტი დაასრულებს რბოლას**

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 ან ნაკლები | 4,0 | 9 ან 10 | 3,0 |
| 11 ან 12 | 3,0 | 13 ან მეტი | 3,0 |

# 2002 წლის 2 ივნისი

## თბილისის საკრებულოს არჩევნები

**901. ვინ მიიღებს ყველაზე მეტ ხმას**

| | |
|---|---|
| მრეწველები--(18.00) | 3,0 |
| ნაციონალისტები | 3,2 |
| ახლები | 3,2 |
| ლეიბორისტები | 3,5 |
| აღორძინება | 5,0 |
| სოციალისტები | 7,0 |
| სახალხო-ტრადიციონალისტები | 10,0 |

მოგებები გაიცემა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული შედეგის შემდეგ


# გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

თბილისი, დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი

ზესტაფონი, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6


## ნორვეგია. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. IX ტური

| თარიღი | დრო | № | | | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25.05.02 | 22.00 | 042 | 1:1 ლილესტრომი; ლინი 1:2; 1:4 ვიკინგი **ვოლერენგა** | V | **როზენბორგი** სტარტი 4:2; 2:2 მოსი; მოლდე 3:0 | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 | - | - | 1:2 2:2 | 0:5 2:4 |
| 26.05.02 | 21.00 | 043 | 1:3 ლინი; ვიკინგი 0:0; 3:2 ოდ გრენლანდი **ბოდიო გლიმტი** | V | **ლილესტრომი** ვოლერენგა 1:1; 2:0 სტარტი; მოსი 1:1 | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 | - | 0:1 1:2 | 3:3 3:0 | 1:2 0:3 |
| 26.05.02 | 21.00 | 044 | ბრინი 1:2; 3:2 სოგნდალი; სტაბეკი 4:1 **ბრანი** | V | **ოდ გრენლანდი** სოგნდალი 4:2; 0:1 სტაბეკი; ბოდიო გლიმტი 2:3 | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,65 | - | 2:2 3:1 | 0:0 0:2 | 3:0 1:3 |
| 26.05.02 | 21.00 | 045 | 2:3 სოგნდალი; 2:1 ბრანი; მოლდე 0:2 **ბრინი** | V | **მოსი** 1:5 მოლდე; როზენბორგი 2:2; 1:1 ლილესტრომი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 | - | 1:2 1:4 | 2:0 0:5 | - |
| 26.05.02 | 21.00 | 046 | ბრინი 3:2; 2:4 ოდ გრენლანდი; ბრანი 2:3 **სოგნდალი** | V | **ვიკინგი** სტაბეკი 3:3; 0:0 ბოდიო გლიმტი; ვოლერენგა 4:1 | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 | - | 0:1 0:2 | - | - |
| 26.05.02 | 21.00 | 047 | 2:4 როზენბორგი; ლილესტრომი 0:2; 0:1 ლინი **სტარტი** | V | **მოლდე** მოსი 5:1; 2:0 ბრინი; 0:3 როზენბორგი | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,6 | 1,2 | 1,2 | - | - | 2:2 3:3 | - |
| 27.05.02 | 22.00 | 048 | 3:3 ვიკინგი; ოდ გრენლანდი 1:0; 1:4 ბრანი **სტაბეკი** | V | **ლინი** ბოდიო გლიმტი 3:1; 2:1 ვოლერენგა; სტარტი 1:0 | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,25 | 1,2 | 1,55 | - | 1:1 2:5 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლინი(11) | | 3:1 | 3:1 | | 16.06 | | | | 2:0 | | 30.06 | | 02.06 | 1:0 | 8 | 7 | 0 | 1 | 15:8 | 21 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 9 |
| 2 | მოლდე(5) | | | | | | 02.06 | 3:0 | 16.06 | 0:0 | 2:0 | | 5:1 | | | 8 | 4 | 2 | 2 | 14:8 | 14 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| 3 | ბოდიო გლიმტი ბოდიო(9) | | 09.06 | | | | 30.06 | 0:0 | 2:0 | : | 0:1 | 4:0 | | | 23.06 | 8 | 4 | 2 | 2 | 13:7 | 14 | 2 | 1 | 1 | 6:1 | 7 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| 4 | როზენბორგი ტრონჰეიმი(1) | 5:1 | 3:0 | 02.06 | | 0:1 | | | | | | | | 16.06 | 4:2 | 8 | 4 | 1 | 3 | 16:10 | 13 | 3 | 0 | 1 | 12:4 | 9 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 5 | ოდ გრენლანდი სკიენი(6) | | 1:1 | 2:3 | 30.06 | | | 09.06 | | 22.06 | | 02.06 | | 4:2 | 2:0 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 13 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 | 2 | 0 | 2 | 2:3 | 6 |
| 6 | ვოლერენგა ოსლო(ღ) | 1:2 | | 1:1 | : | 2:0 | | | | | | 23.06 | 09.06 | 2:0 | | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | 12 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| 7 | ვიკინგი სტავანგერი(3) | 23.06 | | | 2:0 | | 4:1 | | 3:3 | 30.06 | 02.06 | | 4:1 | | | 8 | 3 | 3 | 2 | 14:11 | 12 | 3 | 1 | 0 | 13:5 | 10 | 0 | 2 | 2 | 1:6 | 2 |
| 8 | სტაბეკი ბეკესტუა(4) | : | | | 09.06 | 1:0 | 0:0 | | | | | 2:1 | 23.06 | 4:0 | 30.06 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:11 | 12 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 | 0 | 2 | 2 | 5:10 | 2 |
| 9 | ლილესტრომი(2) | | | | 0:1 | | 1:1 | 2:0 | 02.06 | | 16.06 | | 1:1 | | | 8 | 2 | 4 | 2 | 7:6 | 10 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| 10 | ბრანი ბერგენი(7) | 09.06 | 30.06 | | 23.06 | : | 0:4 | | 4:1 | | | 1:2 | 0:1 | | | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | 10 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| 11 | ბრინი(12) | 0:1 | 0:2 | | 2:1 | | | 15.06 | | 1:1 | | | : | | 09.06 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:10 | 3 |
| 12 | მოსი(10) | 0:2 | | 16.06 | 2:2 | 0:1 | | | | | | | | 3:3 | 02.06 | 8 | 1 | 3 | 4 | 9:18 | 6 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 | 1 | 1 | 2 | 4:10 | 4 |
| 13 | სოგნდალი(8) | | 23.06 | 0:2 | | | | : | | 08.06 | 2:3 | 3:2 | 30.06 | | 0:0 | 8 | 1 | 2 | 5 | 10:20 | 5 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:13 | 1 |
| 14 | სტარტი(ღ) | | : | | | | 16.06 | 1:1 | 1:1 | 0:2 | 2:2 | | | | | 8 | 0 | 4 | 4 | 6:13 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I' კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი ფინალი, სამ მოგებამდე

## ბასკო 2:0 დინამო

# გააშველეთ! ფრთხილად: იარაღია!



გოდერძი კორძაძემ და სხვა დინამოელებმა ნიკ დილონს ვერაფერი მოუხერხეს

23 მაისი. ბათუმი

**ბასკო 82:81 დინამო**

27:17, 19:20, 17:22, 19:22

ბასკო: როჯერსი (17), მარკოიშვილი (8), ბეჟანიშვილი (8), დილონი (21), როდუმტა; ორმოცაძე (13), ტუჯანი (8), თორთლაძე (3), ბერძენიშვილი (3), საყვარელიძე (1), არხიპოვი

დინამო: ქლენტი (2), ტურაშვილი (14), ჩუბინიძე (10), ჯაფარიძე (6), კორძაძე (10); ჩხეიძე (16), ნაცვლიშვილი (11), წოწელია (9), ოგანესიანი (4), მაისურაძე, მუმე

მსაჯები: ალექსანდრ ივანოვი, ალექსეი ნიკოლაიჩენკო

კომისარი: მურმან ქურიძე

ირაკლი პერტაია ბათუმიდან

გუშინ ბათუმის საკალათბურთო დარბაზში გულშემატკივარმა ბევრი ნახა და ისმინა — ჩხუბი, გინება, იარაღიანი ხალხის მოედანზე სირბილი და მთავარი: მატჩი უჩვეულოდ დრამატული ფინალით.

მეთერთმეტე ეროვნულის ფინალური სერიის მეორე მატჩმა გულგრილი ვერ დატოვა ვერც მოთამაშე და ვერც ქომაგობა. მსაჯთა და მაყურებელთა არაკორექტულობით თავდაკარგულმა დინამოელმა დავით ტურაშვილმა ბოლმა თამაშის დასრულებისთანავე ამოანთხია და თანაგუნდელებს რომ არ გაეკავებინათ, უკრაინელ მსაჯებს ალბათ ცოცხლად შეჭამდა. მაყურებელი კი დარბაზის გარეთ შეგროვილიყო და მანამდე არ დაიშალა, სანამ წაგებულმა, თუმც თავაწეულმა დინამოელებმა სასტუმროსკენ არ გასწიეს.

დიახ, „ბასკომ" გაიმარჯვა, თუმც „დინამოს" იუბილარ თავკაც ლევან მოსეშვილის თქმით, ბათუმელთა მოგება ტაბლომ კი დააფიქსირა, თორემ ფაქტობრივი გამარჯვებული „დინამო" იყო. ტურაშვილისა და მისი თანაგუნდელების მსგავსად სტუმართა მწვრთნელიც უკმაყოფილო იყო მსაჯობითა და არამარტო მათით

„ანგარიში კი მეტყველებს „ბასკოს" გამარჯვებას, მაგრამ რეალურად თამაში „დინამომ" მოიგო. მსაჯებმა ყველაფერი ილონეს, რათა წაგვეგო. უსამართლოდ მოგვექცნენ. ბათუმელ გულშემატკივარს ვულოცავ გამარჯვებას, მაგრამ ვეჭვობ, ასეთმა მოგებამ მათ მორალური კმაყოფილება მიანიჭოს. მნიშვნელობა არა აქვს მომავალ მატჩებს, მოვიგებთ თუ არა. რომც მოვიგოთ, ბოლო, გადამწყვეტი შეხვედრა აქ გვიწევს და კვლავაც ყველაფერი გაკეთდება ჩვენს წასაგებად. ერთიცაა, სამხედროები იარაღით ხელში არ უნდა ერეოდნენ მოთამაშეთა და გულშემატკივართა ურთიერთობებში".

„დინამოს" მწვრთნელს ის ხალხი ჰყავდა მხედველობაში, რომლებსაც არაერთხელ მოუხდათ მოთამაშეების ერთმანეთისგან და ასევე მათ საქმეში ჩარეულ გულშემატკივართა გაშველება. თავდაპირველად შელაპარაკებულ ჯაფარიძისა და როდუმტას დაშოშმინება გახდა საჭირო. მოგვიანებით უფრო სერიოზული ინციდენტიც მოხდა — საქმე ხელის გარტყმამდეც მივიდა, თუმც იმდენი უშიშროების რაზმელი ჩაერია საქმეში, ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ვისზე იწევდა. მოშულარნი ფარის უკან, პირითი ხაზის გასწვრივ მოკალათებული გულშემატკივრები და „დინამოს" ხელმძღვანელ-მოთამაშეები იყვნენ. საბოლოოდ, ცხადია, ძალოვანებმა იძალეს და თამაშიც არაერთხელ გადაურჩა ჩაშლას.

თავად მატჩი კი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დრამატული გამოდგა მათ შორის, რაც ბათუმში ოდესმე უნახავთ. უფრო სწორად, მისი ფინალი იყო ასეთი, თორემ პირველ ნახევარში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, „დინამოს" წინა დღის დარი განადგურება არ ასცდებოდა. ლევან მოსეშვილმა არ დაიშალა და კვლავ წინახაზით მიიტანა „ბასკოს" ფარზე მასირებული იერიშები. მაგრამ სასტარტო ხუთეულში გამწესებულ ჯაფარიძეს, კორძაძეს და ჩუბინიძეს ხელი მოეცარათ, მათ უზომოდ ბევრიააცილეს. ბათუმელებმა კი ფეხმარდი ჯეფრი როჯერსის და ჯაკგურა ნიკ დილონის წყალობით უმალ მიაღწიეს საგრძნობ უპირატესობას — 11:2 და მეოთხედიც სოლიდური, ათქულიანი ლიდერობით დაასრულეს.

მცირე შესვენების შემდეგ მოედანზე გამოჩენილმა არაერთმა ტანმაღალმა დინამოელმა კვლავ ვერ შეასრულა დაგეგმილი და სტუმრებმა შეუპოვრად მოთამაშე რევაზ ჩხეიძის წყალობით თუ მოახერხეს, მეტოქეს ძალზე არ ჩამორჩენოდნენ. „ჩხირომ" გარღვევებითა და სამქულიანებით მეორე მეოთხედში თოთხმეტი ქულით ჩამორჩენილ „დინამოს" პირველი ტაიმის ბოლოსთვის სხვაობა 9 ქულამდე შეამცირებინა.



მურმან ქურიძის სამსაჯო კომიტეტმა ფინალი უკრაინელ მსაჯებს ანდო

მეორე ტაიმში თბილისელები სულ სხვა ტაქტიკით ათამაშდნენ. მათ მეტოქის ფარზე ჯახირს თავი მიანებეს, დაცვას მიხედეს და გარდატეხაც აქ მოხდა. „დინამოს" გაუვალმა ზონამ სტუმართა კალათი ოთხი წუთით მშრალად შეინახა და კონტრშეტევაზე არაერთხელ ნახეირებმა თბილისელებმა არჩილ ქლენტის გარღვევის შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს 57:57.

ბოლო მეოთხედი „დინამომ" ოთხქულიანი ჩამორჩენით დაიწყო, თუმც გიგი ნაცვლიშვილის და დავით ტურაშვილის შედეგიანმა გარჯამ მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სტუმრები პირველად დააწინაურა — 69:67. მოგვიანებით თბილისელი გოჩა წოწელიას სამქულიანმა „დინამო" ექვსი ქულით წასწია წინ. ბათუმელთა თავკაცმა პაველ გოოგემ მოედანზე უკანახაზელები შეუშვა და მათი სისხარტის ხარჯზე სცადა გამრუდებული საქმის გამოსწორება. ბათუმელებს ვერაფერი უშველიდა, საფინალო სირენამდე ზუსტად წუთით ადრე გოდერძი კორძაძეს ფარქვეშიდან რომ ჩაეგდო, მაგრამ სად იყო და სად არა, კორძაძის თავზე მასპინძელთა კამერუნელი ლეგიონერი ქოლივეტ ტუჯანი აღიმართა და მის ნასროლს ლაზათიანად დააფარა. ამ ეპიზოდის შემდეგ „დინამოს" კვლავ შერჩა 4-ქულიანი უპირატესობა, მაგრამ საყვარელიძემ და როჯერსმა თამაშის დამთავრებამდე ოცი წამით ადრე სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს...

...ბურთი გვერდითი ხაზიდან თბილისელებს შემოაქვთ და მსაჯი ბურთმიღებულ მაისურაძეზე დინამოელთათვის გაუგებარ გარბენს აფიქსირებს. ბათუმელთაგან თამაშს ჯეფ როჯერსი იღებს თავზე და ფარქვეშ შეჭრილი ბურთს მოულოდნელად აწვდის მაღალ თანამემამულეს ნიკ დილონს. სირენა მას შემდეგ გაისმა, რაც დილონმა ბურთი ისროლა. ბურთი ჩავარდა და „ბასკო" 2:0 დაწინაურდა.

პლეი ოფი მესამე ადგილისთვის, სამ მოგებამდე

## სტუ 2:0 აზოტი

# ნუ გაიწამებ თავს, ნუ მიენდობი წამს!

23 მაისი. სპორტის სასახლე

**სტუ 101:98 აზოტი**

ძირითადი დრო 86:86

20:19, 15:25, 27:20, 24:22, 15:12

სტუ: ხოშტარია (30), ლოსაბერიძე (23), ბაბიაშვილი (8), მინაშვილი (1), შენგელია (17); გაგნიძე (12), ოთიურიძე (5), აბრამიძე (5), დავითულიანი

აზოტი: გაბისონია (6), ბოისა, გოგობერიშვილი (39), შპუნტი (13), მაჭარაძე; ბერუაშვილი (17), იამჩუ (14), კოკოლიშვილი (9)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ირაკლი ფირაშვილი

ამჯერად „აზოტს" სულ მცირედი დააკლდა გამარჯვებამდე. რუსთაველებს 17 ქულით აღარ წაუგიათ, მაგრამ ეს, ცხადია, ვერაფერი ნუგეშია. აქ მთავარი ისაა, რომ ბევრით თუ მცირედით მაინც წააგეს, შედეგად სამესამეადგილო რკენაში 0:2 ჩამორჩენ და შეიძლება ითქვას, მეთერთმეტე ეროვნულის საპატიო ბრინჯაოსაც დაემშვიდობნენ. მართალია, მათ ჯერაც რჩებათ ხავსი, მაგრამ საეჭვოა, სტუ-მ ორგზის ძლეულ მეტოქეს უპირატესობა და ზედიზედ სამი თამაში დაუთმოს.

წინა დღის შეხვედრისგან განსხვავებით, სტუ-სა და „აზოტის" ჯახს სწორედ ჯახი ეთქმოდა, ცხადია, იმ დოზით, რამხელაც შეუძლია დაიტიოს ჩვენმა ეროვნულმა. პირველიდან 45-ე წუთამდე დაძაბულ ბრძოლაში გალეულმა ჭიდილმა კარგად მოჭიმა მონაწილე-მოცქერალთა ნერვები, იყო დამატებითი ხუთწუთეულიც და ბოლო წამებზე ჩაგდებულ-ვერჩაგდებული ბურთებიც. ბოლო წამებზე სროლა რუსთავის „აზოტს" უხდებოდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ პირველ 40 წუთში ძირითადად მას მიჰყავდა ანგარიში. ეგაა, ქვემოქართლელებმა ვერ მიაღწიეს სოლიდურ, თუნდაც ასე, 15-ქულიან უპირატესობას. სტუ გამუდმებით კუდში მიჰყვებოდა მეტოქეს, და როცა საჭირო იყო, დაეწია და გაუსწრო.

გუნდებმა ეს მატჩიც წინას იდენტური სასტარტო ხუთეულებით დაიწყეს. შედეგად სტუ, წინა მატჩის დარად, სწრაფად და იოლად დაეპატრონა ფარს. საქმე იქამდე მივიდა, სტუდენტთა ზორბა ცენტრმა კახა შენგელიამ იოლად მიატოვა თავისი „მამული" ფარქვეშეთი და სამქულიანიც ჩაუგდო მეტოქეს. სტუ 11:5 დაწინაურდა და სწორედ მაშინ, როდესაც მაღალი სტუდენტები სამწამიან ზონაში ბატონობის ეშხში შედიოდნენ, „აზოტმა" დაცვა გამართა და ცოტა ამოისუნთქა. მართალია, იგივ შენგელია კალათის ქვეშ ზოგჯერ ბარე ოცი სანტიმეტრით დაბალ გაბისონიასა და იამჩუს პირისპირ რჩებოდა და, ცხადია, აგდებდა კიდეც, მაგრამ მისმა გუნდმა სათამაშო უპირატესობა კი დაკარგა.

და მაინც, რუსთაველთა მონდომებული თავდაცვის მიუხედავად, სტუდენტებმა გასაოცრად იოლად თქვეს უარი ფარქვეშეთზე. მათმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ბრძოლის ველს ორი მაღალი, მინაშვილი და ბაბიაშვილი გამოარიდა, ხოლო „აზოტმა" პირველი ტაიმი 44:35 მოიგო.

ისე კი, სტუ-მ უკანა ხაზზე დაყრდნობითაც შეძლო თამაშის გათანაბრება. მესამე მეოთხედში გაგნიძემ და ხოშტარიამ ბევრი ყარეს. მართალია, კიდევ უფრო მეტი ჩააგდო რუსთაველმა რამაზ გოგობერიშვილმა, მაგრამ ბოლო მეოთხედის დაწყებამდე „აზოტს" ცხრაქულიანი უპირატესობიდან ორიღა შერჩა. გოგობერიშვილმა მესამე ათწუთეულში „აზოტის" 20 ქულიდან 18 (!) თავად გააკეთა, მაგრამ მარტო კაცი, როგორც წესი, შორს ვერ წავიდა.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა მეოთხე ათწუთეულში. თითქმის ქულა-ქულაში წარმართული მეოთხედის ბოლო წუთზე სტუ ოთიურიძის ორქულიანით 86:84 დაწინაურდა და „აზოტს" მატჩის სახსნელად ოთხი წამიღა დაუტოვა. თითქოს რუსთაველებს თამაში უკვე წაგებული ჰქონდათ, მაგრამ მათ რაღაც მანქანებით შეძლეს ბრძოლის დამატებით დროში გადატანა. რუსთაველთა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ წუთშესვენებაზე ყველაფერი რიგიანად მოგეგმა, ხოლო მისმა შეგირდებმა მშვენივრად მოასწრეს ბურთის ჩაგდება. ოლეგ შპუნტის შემოტანილი ბურთით რუსთაველი რამაზ გოგობერიშვილი სტუდენტთა საჯარიმოსკენ დაიძრა და სამწამიან ზონასაც უწია, აქ კი მის წინაშე ვეება შენგელია აღიმართა. რამაზმა მის ხელებსზემოდან სროლის ნაცვლად ბურთი კახას ზურგსუკან ჩასაფრებულ მიხეილ ბერუაშვილს გადასცა და მან ახტომაც მოასწრო და სროლაც — 86:86.



ზაზა გაბისონია (მარჯვნივ) კახა შენგელიასთვის მაღალი ბარიერი ვერაა

ცუდად წარმართა „აზოტმა" ოვერტაიმი. შეტევაში ხშირად კარგავდა ბურთს, რომელსაც სტუდენტი ლაშა ლოსაბერიძე სწრაფი გარღვევებით მათ კალათში ჩაგდებით უბრუნებდა. ლოსაბერიძემ დამატებით ხუთწუთეულში ათი ქულა მიითვალა, „აზოტი" კი ბოლომდე, მაგრამ ამაოდ მისდევდა მისიანებს. ბოლო წამებზე რუსთაველებს მეორედაც მიეცათ მატჩის ხსნის შანსი და დარჩენილ შვიდ წამში შეტევისთვის ორგანიზება მოასწრეს, მაგრამ ნუგზარ კოკოლიშვილმა 101:98 ანგარიშზე ააცილა სამქულიანი.

NBA PLAYOFFS — პლეი ოფი კონფერენციების ფინალები, ოთხ მოგებამდე

დასავლეთი

## საკრამენტო 1:1 ლეიკერსი



„ლეიკერსს" კვლავაც შაკილ ონილის ფართო მხარ-ზურგის იმედი აქვს

# რა სჭირს ლეიკერსს? დიდი ბოდიში და, კობის ფალარათი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მწვრთნელი ფილ ჯექსონი ამბობს, ხანდახან უნდა წააგო კიდეც რათა მარცხის გემო არ დაივიწყო და არ გაზულუქდეო. მისი აზრით, ნორმალურია, თუკი სერიაში ერთხელ დამარცხდები და ყველა მეტოქეს 4:0 ვერ მოუგებ, მაგრამ მეცხრე საჩემპიონო ოქროსკენ დაძრულ დიდ ფილს ნაღდად არ მოეწონებოდა მისი რჩეული გუნდის ზედიზედ ორჯერ წაგება. არადა, უძლეველ „ლეიკერსს" თითქოს ემუქრება ეს საფრთხე.

ძლევამოსილი ჩემპიონები ორი საკრამენტოული ჯახის შემდეგ ახვევ წყვილი შინაური მატჩისთვის ემზადებიან და დასავლური ფინალური სერიის მეორე შეხვედრაში საკრამენტოელ „მეფეებთან" ნამარცხევს რევანშისთვის განეწყვნენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ საკუთარი უძლეველობის შეგრძნება სადღაც გაუქრათ, თან ეს ოხერი „საკრამენტოც" არაა სახუმარო მეტოქე.

„ლეიკერსის" გამარჯვების რწმენა გუნდის ჩაუქ ლიდერს კობი ბრაიანტს გოშიასავით დაჰყვება. დღე ერთია და კობი ხუთჯერ მაინც გარბის ექიმებთან კუჭის ქრონიკული აშლილობით შეწუხებული და საპირფარეშოს გაკლით „ლეიკერსის" ვარჯიშზე მიბრუნებული შვებით იძახის, მგონი, მორჩი და აღარაფერი მჭირსო, მაგრამ შემდეგ ისევ გარბის და გარშემომყოფთ, მწვრთნელ-თანაგუნდელებს საგონებელში აგდებს.

კობი 19 მაისს „საკრამენტოსთან" მეორე თამაშის წინა დღეს მოიწამლა. რესტორანში უცხო რამ კერძი მიირთვა და ზედაც ნაღდამერიკული ჩიზბურგერი დააყოლა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ მოეწონა და ახლა ამბობს, მაკდონალდსის გარდა თუკი სხვაგან ჩიზბურგერს კბილი დავადგი, უარესიმც დამემართოსო. კარგი ნუგეშია „ლეიკერსისთვის". არ შეჭამს, მაგრამ რაც აქამდე ჭამა, იმას ვერ წამლობს და მთავარიც ესაა. საკრამენტოსთან თამაში კარსაა მომდგარი და კობის ჯანზე მოსვლის და ფალარათის მორჩენის ჯერ არაფერი ეტყობა.

ჩემპიონებს ვერც ექიმები აიმედებენ. კობის მკურნალი ვინმე ჯონ ბლექი ჩივის, ეს კაცი ვერც ვერაფერს ამბობს, არ ვიცი, ჩიზბურგერმა დამართა თუ სხვა რამემო. ექიმთ ჯერ ისიც ვერ დაუდგენიათ, კობის და მთელი მისი გუნდის ჭირი ჩვეულებრივი ფალარათია თუ ერთი კარგად მოწამვლა ანაც, ლოსანჯელესელებს ამის გაფიქრებაც კი ზარავთ, ჩვენში ბოტკინად წოდებული ვირუსული ჰეპატიტი. ამ მფრინავი ჯეილის გარეშე „ლეიკერსის" ზედიზედ მესამე ჩემპიონობის შანსები ერთიორად მცირდება, „საკრამენტო" კი ჩასაფრებულია და მისხალ შანსსაც არ გაუშვებს ხელიდან.

სხვათა შორის, არც ჩემპიონთა მეტოქენი არიან სრულ საბრძოლო ფორმაში. რეგულარულ სეზონში ყოველ მატჩში საშუალოდ 22 ქულის მომხვეჭ იუგოსლაველ ფრთა პრედრაგ სტოიაკოვიჩის ნაღრძობი კოჭი გულს უკოდავს — „ესაა წლის ყველაზე უარესი დრო ტრავმიანობისთვის, რადგან ეს სეზონის საუკეთესო ნაწილია და ძნელია სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, როცა მეგობრები მოედანზე იხვითქებიან. ეს საშინელებაა" — ამბობს პეჯა და გულში წყევლის წყეულ კოჭს. მან გამოტოვა დასავლური ფინალური სერიის პირველი ორი მატჩი და, მისდა და მისიანთა სამწუხაროდ, გამოტოვებს მომდევნო ორსაც, თუმც მის მონდომებას და მოედანზე ყოფნის საჭიროებას თუ გავითვალისწინებთ, ვინ იცის, პეჯა იქნებ გამოჩნდეს კიდეც დაბინტული, ნახევრად მოუშუშებელი ფეხით. „შეუძლებელია, ძველებურად კარგ გუნდად დარჩე როდესაც ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მსროლელი გაკლია. პედო ბეჯითად მუშაობს, მაგრამ იგი არ არის პრედრაგის სრულყოფილი შემცვლელი" — ამბობს სტოიაკოვიჩის თანაგუნდელ-თანამემამულე ვლადე დივაცი. ცხადია, სტოიაკოვიჩი დიდი დანაკლისია „მეფეთა" კრებულისთვის, მაგრამ რაკი უმისოდაც მოიგეს (კობის კუჭ-ნაწლავის დახმარებით), პეჯას კოჭი ცოტა ნაკლებად აღარდებთ, ვიდრე ლოსანჯელესელთ კობის კუჭი.

და ერთიც, დივაცისგან არგაკიცხული პიდაიეთ თურქოღლუ ჩვენ გავკიცხოთ. თურქმა ფრთამ სტოიაკოვიჩის ადგილი დაიკავა „საკრამენტოს" სასტარტო ხუთეულში, მაგრამ სერბის არყოფნაში ვერ შეავსო „მეფეთა" საერთო მონაგარში გაჩენილი ქულათა ნაპრალი. თურქოღლუს ჯამური საორმატჩო მონაგარი ოდენ რვა ქულას შეადგენს და ეს მაშინ, როდესაც „საკრამენტოს" შემტევ სათამაშო სქემაში არავის უჭირს თამაშში თუნდ ათიოდ ქულის გაკეთება.

სხვა მხრივ ორივე გუნდი, მგონი, მწყობრშია. სანანტონიოელ ტიმ დანკანისგან გვარიანად გაწვალებული „ლეიკერსის" მთავარი დასაყრდენი შაკილ ონილი „საკრამენტოსთან" ფერზე მოვიდა, მეორე მატჩში 35 ქულა ჩააგდო და ამ პარასკევს გასამართ მესამეში არანაკლების ჩაგდებით იმუქრება. გარედან ისე ჩანს, მის წინამორბედს, „ლეიკერსის" ყოფილ ცენტრ ვლადე დივაცს შაკის ბუხუნი არ აშინებს, გულში კი რა გრძნობას აუტანია, არვინ იცის. შაკივით გამოუწევია ცოტა მცირე ზომის გულ-ბოყვი „საკრამენტოს" 208-სანტიმეტრიან თავდამსხმელ კრის ვებერს და იქადნება, 25 ქულას, 15 მოხსნას და 10 პასს, ანუ მთლიანობაში სამმაგ დუბლს „ვუძღვნი საჩუქრად" მესამე მატჩში ჩემი მტრის ქომაგებსო.

მის „მტერს" კი ამ დიდკაცის მუქარაზე მეტად დაბალ საკრამენტოელთა, მაიკ ბიბის და ბობი ჯექსონის უმეტყველო მუქარა აშინებს. კობი ჯანზე ვერაა და ეს ორი მარჯვე ჯეელი, ალბათ, მოაშიშვლებს „ლეიკერსის" პერიმეტრს და შორეული ბომბებით მოანგრევენ ჩემპიონთა ფრთა-კალათს.

**ირაკლი ფირცხშვილი**



კობი ბრაიანტის ნაჭამი „ლეიკერსს" აწუხებს



NHL სტენლის თასი ნახევარფინალი



დეტროიტელ ფრედრიკ ოლაუსონს უკვირს და უხარია: გაიტანა!

# მე გავიტანე?!

## პლეი ოფის უცნაურობანი: ზოგს 10 წელიწადში ერთხელ გააქვს, ზოგს მაერდით...

22 მაისი

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 2 |
| კოლორადო | 1 |

**კოლორადო 1:2 დეტროიტი 1:0 0:0 0:1 0:1**
**1:0 ბლეიკი (16), 1:1 რობიტაილი (46), 1:2 ოლაუსონი (73)**

მთელი ათი წელი ელოდა ფრედრიკ ოლაუსონი ასეთ საპლეიოფო მომენტს, ელოდა და მიაღწია კიდეც თავისას — სწორედ დეტროიტის შვედი მცველის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა კოლორადოსთან მესამე მატჩის ბედი. ოვერტაიმის მე-7 წუთზე ჩაერთო ფრედრიკი შეტევაში და როგორც კი მეტოქის ზონაში შევიდა, უმალვე დაარტყა. პატრიკ რუას ამ მომენტში თავისივე მცველი ჩამოეფარა, თან მცირე რიკოშეტიც იყო. ასე რომ, კოლორადოს მეკარე უძლური აღმოჩნდა.

„ვერც კი გავიგე, როგორ მოხდა ყველაფერი. სათადარიგოთა სკამიდან გადმოვხტი, ვიღაცამ შაიბა მომაწოდა, დავარტყი და, როგორც ჩანს, პატრიკ ამას არ ელოდა" — თქვა მატჩის შემდეგ მისმა გმირმა. დიახ, გოლის ავტორი მოულოდნელი იყო, მაგრამ დეტროიტის მოგება — კანონზომიერი. პრაქტიკულად მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ სტუმრები უპირატესობას. წინა ორ მატჩთან შედარებით გაცილებით აგრესიულებიც იყვნენ და თამაშიც ძირითადად კოლორადოს ზონაში მიმდინარეობდა. „წითელფრთიანებმა" დარტყმებითაც ორმაგ აჯობეს მეტოქეს 42-21. თვით კოლორადოელებმა და მათმა თავკაცმა ბობ ჰარტლიმ აღიარეს ეს ფაქტი. ჰარტლის თქმით, რომ არა რუა, მატჩის ბედი გაცილებით ადრე გადაწყდებოდა. თუმც მასპინძლებსაც ჰქონდათ მოგების შანსი. მართალია, ამჯერად დეტროიტი ჯო საკიკსა და პეტერ ფორსბერგს ჩინებულად გაუმკლავდა, მაგრამ ამ სუპერვარსკვლავებმა ერთი გოლი მაინც გაახერხეს. ფორსბერგის პასის შემდეგ საკიკმა დაარტყა, რობ ბლეიკმა კი შაიბას მიმართულება შეუცვალა. ამის შემდეგ კოლორადო ოთხი (!) წუთის განმავლობაში რიცხვმრავლობაში იყო, მაგრამ ვერ გამოიყენა. თავის მხრივ სტუმართა პირველი გოლიც ერთობ კურიოზული გამოდგა. ამ მატჩში დეტროიტელთაგან ყველაზე აქტიურ სერგეი ფიოდოროვის (7 დარტყმა) მორიგ შეტევას რუა კი გაუმკლავდა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, შაიბა რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ ბოლოს ლუკ რობიტაილის ფეხისგან შესრიალდა კარში. საინტერესოა, რომ ეს ზოგადად პლეი ოფში არადამაჯერებლად მოასპარეზე ლუკის კიდევ ერთი უცნაური გოლი გამოდგა: წინა მან სენტ ლუისთან სერიაში მკერდით გაიტანა. ტყუილად კი არ უწოდებენ მას პრესაში „ლაქის" ანუ იღბლიანს. რაც ამის შემდეგ მოხდა, უკვე იცით.

ამრიგად, დეტროიტი დაწინაურდა სერიაში, მომდევნო მატჩი კი შაბათს კვლავ დენვერში გაიმართება.

**სამველ ლარიბიანი**


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





კრისტოფერ ლუტცმა (მარჯვნივ) არტურ იუსუპოვს გერმანული ჭადრაკის ლიდერობა ჩამოართვა

# ფაეტონი ბებერ მაესტროს!

## გერმანულ ჭადრაკში წვეროსანთა ხანა დასრულდა

**6 მაისს** მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ ელიტარულ ჭადრაკში პაუზამ დაისადგურა. დიდი გროსმაისტერები ჩუმად არიან და მომავალი ტურნირებისთვის ემზადებიან, ხოლო მეორე ეშელონი არ ისვენებს. ჯერ გერმანულ ესენში და მერე სარაევოში მე-16 კატეგორიის ტურნირები დაიწყო, რომლებზეც თითო-ოროლა რეიტინგ-ლისტის პირველი ოცეულის წევრსაც შენიშნავს კაცი. კერძოდ, სარაევოში ალექსეი შიროვი ერთადერთია, ვისი რეიტინგული ქულებიც ამჟამად 2700-ს აჭარბებს და ეს ამბავი ოდნავ გაკვირვებას იწვევს. წინა წლების ანალოგიურ ტურნირზე წერისას ბევრად მეტი დიდი სახელის ხსენება გვიწევდა, მაგალითად, კასპაროვის.

მოკლედ, შიროვი ტურნირის ფავორიტია, მაგრამ არიან სხვებიც, რომლებსაც პრეტენზიების გამოცხადება და ასრულება ხელეწიფებათ. ივან სოკოლოვს, კირილ გეორგიევს, ილია სმირინს, ალექსეი დრეევს და სერგეი მოვსესიანს ვგულისხმობთ. არ ვგების 15 წლის ბაქოელი თეიმურ რაჯაბოვის გამოტოვებაც, რომელმაც სარაევოში 14 წლისამაც ითამაშა და ურიგო შთაბეჭდილება როდი დატოვა. პირველ ტურში რაჯაბოვი შავებით თავს იცავდა და გეორგიევთან ეს საქმე ფრიადზე შეასრულა. ტურის 5 პარტიიდან 3-ში ყაიმი დაფიქსირდა. შიროვი შავებით ხვდებოდა ხორვატ ზდენკო კოჟულს და ორი პაიკი ზედიზედ შეაჭამა მეტოქეს, რათა როგორმე მეორე ჰორიზონტალზე თავისი ეტლები წყვილად დაელაგებინა. მერე გაირკვა, რომ თეთრი ბანაკის დასანგრევად ორი ფაეტონი მეტისმეტად ცოტა იყო და ტიპური საყაიმო პოზიცია შეიქმნა. შედეგიც შესაბამისი გაფორმდა.

გაიმარჯვა კი ივან სოკოლოვმა. ეს ყოფილი საბჭოელი, რომელმაც რატომღაც ომებით შეჭირვებულ ბოსნიაში დასახლება არჩია, ბოლო დროს შედეგიანად თამაშობს. სოკოლოვმა რიგიანად იბრძოლა „ევროტელ ტროფიზე", ხოლო „ბოსნა 2002"-ის (ასე ჰქვია სარაევოს ტურნირს) პირველ ტურში თანამემამულე ბოიან კურაიცას მოუგო. თეთრების პატრონმა კურაიცამ მაინც ფრთხილად დაიწყო, მაგრამ შავები არ ითმენდნენ. მათ გაწირეს პაიკი და პოზიცია პოზიციურად აბდაუბდა გახადეს. სიტუაციის დაწმენდამ დივიდენდები სოკოლოვს შესძინა, რომელიც ახლა თავად დარჩენილიყო ზედმეტი პაიკით და მეტსაც გეტყვით: თეთრები კიდევ ორ პაიკს უცილობლად კარგავდნენ. კურაიცა დანებდა.

სარაევოში მხოლოდ პირველი ტური იყო და სატურნირო დინამიკაზე საუბარი უფრო ესენის ტურნირზე შეგვიძლია, სადაც მონაწილეებმა უკვე 6-6 პარტია ითამაშეს დროის კლასიკური კონტროლით. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შეჯიბრი მე-16 კატეგორიისაა და თუ „ბოსნას" რეიტინგზე ყველაზე კეთილისმყოფლად შიროვის ყოფნა მოქმედებს, ესენში ყველაზე მაღალი პეტერ ლეკო გახლავთ. უნგრელი ელოს კოეფიციენტით დანარჩენებს სჯობნის და, ცხადია, ეს გარემოება სატურნირო ცხრილსაც უნდა ეტყობოდეს. ამჟამად ლეკო პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. მადიარმა უფრო აიწყვიტა ბოლო სამ ტურში, რომლებიც ზედიზედ მოიგო. კერძოდ, მე-4 ტურში ლეკო ეთამაშა ნომერ პირველ გერმანელ მოჭადრაკეს, ქრისტოფერ ლუტცს და დებიუტიდან დიდად კმაყოფილი ვერ გამოვიდა. გერმანელის შავ პაიკებს დიდი სივრცე ჰქონდათ ლაზიერის ფრთაზე შეტევისთვის, მაგრამ ლუტცმა კარგად დაგეგმილი ტერაქტი უხეიროდ შეასრულა და 40 სვლაში დაფაზე წარმოიქმნა ენდშპილი ლეკოს ზედმეტი პაიკით, რომელიც უნგრელმა ქულის მოსაპოვებლად გამოიყენა.

ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ლეკოსთან წაგებამ ლუტცის შიდაგერმანული მდგომარეობა გააუარესა. ჯერ კიდევ ტურში ლუტცმა იდეურად გამართული თამაშით სძლია თანაქვეყნელ არტურ იუსუპოვს და გერმანიის ჭადრაკში წვეროსან ბიძათა (იუსუპოვი, დოქტორი ჰიუბნერი) დომინირებას კიდევ ერთხელ გადაუსვა ხაზი. დიახ, არტურ იუსუპოვი ვერ იტრაბახებს ესენის ტურნირის ცხრილში მაღალი ადგილით, მთლად ვეტერანი ვიქტორ კორჩნოისა არ იყოს, თუმც ბებერი მაესტრო ვილაცეების კბილთა ლეწვას კიდევ ახერხებს და თან ახალგაზრდის ენერგიულობით. 6 პარტიიდან კორჩნოი მხოლოდ ერთხელ დაუზავდა მეტოქეს, ორჯერ კი მოიგო. სამაგალითო იყო მისი იერიში ლატვიელ ფრიდმანზე, რომლის დროსაც კორჩნოის ეტლები ჭკვიანურად შეგრიალდნენ შავ პოზიციაში და ფრიდმანის მეფე პირდაპირ შამათის კედელთანააყუდეს. მაესტრო ჯანზეა...

**დავით გულუა**

### ესენის ტურნირი

ვითარება 6 ტურის შემდეგ

1-2. ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი) 5; 3. მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი) 4; 4. კრისტოფერ ლუტცი (გერმანია) 3,5; 5-6. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), არტურ იუსუპოვი (გერმანია) 2,5; 7-9. დანიელ ფრიდმანი (ლატვია), რუსტამ კაზიმჯანოვი (უზბეკეთი), კრისტოფერ ლუთერი (გერმანია) 2; 10. რუსტემ დაუტოვი (გერმანია) 1,5.



ჯირო 2002

# სახლში მინდა! სახლში კი არ უნდა. პოლიციის შეეშინდა

| 22 მაისი. მეათე ეტაპი |
| --- |
| მადალონი — ბენევენტო (118 კმ) |
| 1. რობი მაკევენი (ავსტრალია, „ლოტო") 2 საათი, 57 წუთი, 24 წამი |
| 2. ფაბრიციო გუიდი (იტალია, „კოასტი") |
| 3. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, „აკუა და საპონე") |

მადალონიდან ბენევენტომდე გასარბოლი 118-კილომეტრი ავსტრალიელმა რობი მაკევენმა 2 საათში, 57 წუთსა და 24 წამში გაასრულა და ჯიროს მეათე ეტაპი მოიგო. მაკევენისთვის ეს ჯიროს მეორე მოგებული ეტაპი იყო. პირველად მან 15 მაისს, ფრანგულ სტრასბურში იყოჩაღა. „ძალიან კი გამიხარდა, რომ გავიმარჯვე, მაგრამ ჯიროს თავს ვანებებ. მის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მეუღლემ ვაჟი მაჩუქა და მას აქეთ ცოლ-შვილი არ მინახავს. 60 დღეა, რბოლაში ვარ, ძალიან დავიღალე. ვიცი, რომ გუნდს დავალალატებ, მაგრამ ჩემიც გაიგეთ, აღარ შემიძლია, ოჯახი მენატრება. თანაც ძალების დაზოგვა მინდა. აგერ, ივლისში ტურ დე ფრანსი იწყება, ოქტომბერში კი მსოფლიოს ჩემპიონატი" — თქვა ნარბოლევს „ლოტოს" ლიდერმა რობი მაკევენმა და სიტყვა აასრულა. სასტუმროში მიბრუნებულმა ბარგი შეკრა და მწვანე კონტინენტს მიაშურა.

ხალხი კი ამ დროს, მაკევენი ჯიროდან იმიტომ გაიქცა, პოლიციელთა რეიდების რომ შეეშინდაო, ამას ამბობს. წლევანდელ ჯიროსაც პოლიციელთა რეიდები ახლავს, მედოპინგეებთან ერთად ისინი აკრძალულ აბებს და ნარკოტიკებს ეძებენ. იცოცხლეთ, ამგვარ ჩხრეკაში ხალხი ჩავარდა. მარტო იტალიელი სტეფანო გარძელის ორწლიანი დისკვალიფიკაცია და ჯილბერტო სიმონის კოკაინის „ა" ტესტის ჩაფლავება როგორი ამბავია! „პინარიას" სამი მრბოლის საქმეები და დღემდე მაგიდაზე უდევთ იტალიელ პროკურორებს.

წლევანდელი ჯიროს ექსლიდერ სტეფანო გარძელის მოკვეთით ახალგაზრდა უკრაინელმა იაროსლავ პოპოვიჩმა იხეირა და ავტომატურად მეორე ადგილზე აინაცვლა. მისი ადგილი კი ედი მაზოლენის გამოუთავისუფლდა. საერთო ჩათვლას ისევ გერმანელი იენს ჰეპნერი ლიდერობს, მან მეათე ეტაპზე ჩასათვლელი ქულები მოიპოვა და მდევრებთან დისტანცია შეინარჩუნა.

გარძელის და მაკევენის არყოფნაში ჰეპნერის მთავარ კონკურენტებად პოპოვიჩი, მთისმრბოლი ფრანჩესკო კასაგრანდე და ამერიკელი ტაილერ ჰამილტონი მიიჩნევიან.

**ბაჩო სვანიძე**





რობი მაკევენი ჯიროდან შამპანურით გაიქცა

| 23 მაისი. მეთერთმეტე ეტაპი |
| --- |
| ბენევენტო — კამპიტელო (143 კმ) |
| 1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „საეკო") 4 საათი, 3 წუთი, 37 წამი |
| 2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, „ფასა ბორტოლო") იგივე |
| 3. ფრანკო პელიზოტი (იტალია, „ალესიო") + 3 |

| საერთო ჩათვლა |
| --- |
| 1. იენს ჰეპნერი (გერმანია, „ტელეკომი") 52 საათი, 54 წუთი, 27 წამი |
| 2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, „ფასა ბორტოლო") + 2 წუთი, 58 წამი |
| 3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „საეკო") + 3 წუთი, 15 წამი |





ალინა კაბაევა: არ იქნება ხალიჩა, იქნება პოდიუმი

# ერთი აქეთ მოგვიშარდე, ლამაზო!

## ძალიან ქალურის ძალიან არაკაცური

**მხატვრულად** ტანვარჯიშე ექსმსოფლიოს ჩემპიონ ალინა კაბაევასა და ირინა ჩაშინას საქმე დოპინგ-ტრიბუნალმა მეორედ განიხილა და მათი ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა.

ლოზანაში შეკრებილმა ანტიმედოპინგეებმა რუსეთის ტანვარჯიშის ფედერაციის აპელაცია არ მიიღეს, რაკი რუსებმა გამამართლებელი ბევრი ვერაფერი წარადგინეს. რუსებს კიდევ აქვთ დრო, თავიანთ სპორტსმენებს ნამუსი მოსწმინდონ. ეს შემოდგომაზე უნდა მოახერხონ, როცა ტრიბუნალი მესამედ შეიკრიბება და უკანასკნელად განიხილავს კაბაევასა და ჩაშინას საქმეს.

გაგახსენებთ: ამ ორმა დოპინგ-ტესტი ამ ზამთარს ჩააგდო. მათ შარდში აკრძალული პრეპარატის ფუროსემიდის კვალი აღმოჩნდა. ფუროსემიდი კი წონაში უცებ დაკლებას უწყობს ხელს და სტიმულატორების კვალს აქრობს. ლაბორანტებმა დოპინგის ამბავი იეჭვეს და რუსების შებილწული სისხლი დოპინგ-ტრიბუნალს გადასცეს, რომელმაც რუსი ლამაზმანები დოპინგის ხმარებაში ამხილა. უმაღლესმა ტრიბუნალმა კაბაევას შარშან მადრიდის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ოქრო ჩამოართვა და ერთი წლით მოკვეთა სპორტიდან, ჩაშინას კი ჩამოსართმელი ბევრიც არაფერი ჰქონია და ტანვარჯიშში ერთი წლით აკრძალა.

**ბაჩო სვანიძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

*პარიზი, ალბათ, აღარ არის მსოფლიოს დედაქალაქი, როგორც 100 წლის წინათ, სხვა ქალაქებიც ერთობ წამოიჩიტნენ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ორი კვირით ელიტარული ჩოგბურთის მოყვარულები საფრანგეთის დედაქალაქს იქით არ გაიხედავენ: იქ მომავალ კვირას „დიდი სლემის" მეორე და უპირველესი სათიხნარო შეჯიბრი დაიწყება. ზოგი დიდი ჩოგბურთელი პარიზში, ყოველ შემთხვევაში, კორტებზე, ვერ ირონინებს, სხვები კი გაცხარებით ემზადებიან...*


გრეგ რუზეცკი

# ბალახის კაცი

## საათში 239,7-კილომეტრიანი რუზეცკი საფრანგეთს ასცდა

**ბრეგ რუზეცკიმ** თავის გეგმებს სიცხადე შემატა. გუშინ ბრიტანელმა ჩოგბურთელმა თავისი პრესაგენტის, შერონ პარკის პირით სააგენტო „როიტერს" აცნობა, რომ არ გეგმავს მომავალ კვირას დასაწყებ „როლან გაროსზე" თამაშს და აპირებს სერიოზულად მოემზადოს ბალახის სეზონისთვის, რომლის გვირგვინიც უეჭველად მისთვის სხვებზე საყვარელი უიმბლდონი იქნება.

მართლაც, რა შეიძლება ესაქმებოდეს თიხნარ კორტებზე ჩოგბურთელს, რომელიც თითქმის მხოლოდ უძლიერესი მოწოდებით იგებს? (რუზეცკი გახლავთ ავტორი მსოფლიოში უძლიერესი მოწოდებისა, რომლის სიჩქარეც საათში 239,7 კილომეტრია). კიდევ საბუთები: „როლან გაროსზე" რუზეცკის 7-ჯერ უთამაშია და უდიდეს პროგრესს 3 წლის წინ, მეოთხე წრეში გასვლით მიაღწია მაშინ, როცა მაგარსაფრიან კორტებზე მეტი წარმატებით დაიკვეხნის, კერძოდ, ამერიკის ღია პირველობის ფინალისტობით, რაც 1997 წლის ამბავია. წლეულს თიხნარზე რუზეცკიმ ითამაშა 1 (!) მატჩი და ისიც წააგო იტალიელ სტეფანო გალვანისთან.

„გრეგს კისერი ჯერაც აწუხებს — უთხრა შერონ პარკმა „როიტერს" — კუნთი ბოლომდე ვერ მოუშუშდა და იძულებულია, დაისვენოს". ლაპარაკია ტრავმაზე, ბრიტანელმა აპრილში რომ მიიღო და რომელმაც მონტე კარლოს „მასტერსი" გააცდენინა. ტრავმა რომ ფრიად ჭირვეულია, არ მოშუშდა და რუზეცკიმ უარი თქვა ჰამბურგის „მასტერსზეც", ბოლოს კი ვერც ახლახან დაწყებულ მსოფლიოს გუნდური თასის გათამაშებაზე ეხმარება ბრიტანელთა ნაკრებს, რომელიც გერმანიის დიუსელდორფში უმისოდ გაემგზავრა. თუმცა ქართული ფეხბურთის უდიდესი გამარჯვების ქალაქში თამაშობს ტიმ ჰენმანი და არცთუ ურიგოდ.

# როლან გაროსის იუბილარი

## კლაისტერსი 19 ენენი 20

**მარტინა ჰინგისი** „როლან გაროსზე" არ იქნება — ტერფის ოპერაცია უნდა გაიკეთოს, სპორტული ფეხსაცმლის მომწოდებელ ფირმას უჩივის და ასე შემდეგ. ვინ იქნება ტურნირის ფავორიტი? დები უილიამსები, ჯენიფერ კაპრიატი, აგრეთვე ბელგიელები: კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენი, რომლებმაც WTA-ს ბოლო რეიტინგ ლისტის პირველ ხუთეულში თავიანთ ქვეყანას 2 ადგილი დაუმკვიდრეს.


კიმ კლაისტერსი

კლაისტერსი დაქვეითდა, მე-3-დან მე-4 ადგილამდე, ენენი მე-8 იყო და მე-5 გახდა. ახლა ორივე ჩინებულ ფორმაშია და ქედილს არ აკლებენ. „ძლავები სრულ წესრიგში მაქვს და ჩოგანს არა ღიაცურად გავიქნევ" — აცხადებს კლაისტერსი, რომელიც „როლან გაროსის" შუაწელში მე-19 დაბადების დღეს გადაიხდის. რა „როლან გაროსის" პასუხია და, კლაისტერსმა ისიც აღნიშნა, ხამოვნებით ვიცხოვრებდი ავსტრალიაშიცო — ლეიტონ ჰიუიტი ხომ მისი ბოიფრენდია.

„ძალიან მიყვარს საფრანგეთის ღია პირველობა — ეს უკვე ენენის სიტყვებია, რომელსაც ტურნირის პირველ კვირას მრგვალი 20 წელი შეუსრულდება — ყველა ტურნირს მირჩევნია და წლეულს ურიგოდ არ უნდა ვითამაშო, რადგან ჩინებულ ჯანსა და განწყობაზე ვარ".

შარშანდელ „როლან გაროსზე" ენენს ასევე არა უშავდა, მაგრამ ნახევარფინალიდან სწორედ კლაისტერსმა გამოაგდო.

# ლაბაძემ სეტი მოიგო და მატჩი წააგო

**ATP ტურნირი**
ზანკტ პოლტენი (ავსტრია)
საპრიზო 381 ათასი $

**ამ მცირე** ტურნირის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ერთს ვიტყვით: ირაკლი ლაბაძემ ითამაშა და მე-2 წრეს უწია, სადაც გამოცდილი ნიკოლას ლაპენტისთან მოუწია საქმის გარჩევამ. ეს ეკვადორელი ტურნირის მე-2 ნომერია და მასთან ლაბაძეს ფავორიტად ნაკლებად ალიქვამდნენ. ქართველმა პირველი სეტი მოიგო, მერე კი ორი ტაიბრეიკებში დათმო. უფრო დასანანი ბოლო ბურთები იყო, ლაპენტიმ მხოლოდ მინიმალური სხვაობით (ეს კი ჩოგბურთში 2 ქულაა) აჯობა ქართველს.

**მეორე წრე**

**ნიკოლას ლაპენტი** (2, ეკვადორი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 5:7, 7:6 (7:1), 7:6 (8:6); **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (8, სლოვაკეთი) 7:5, 6:4; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ანდრეა გაუდენცი (7, იტალია) 6:3, 7:5; **ოლივიე როშუ** (ბელგია) — ჟან მიშელ გამბილი (4, აშშ) 7:5, 2:6, 6:4; **მარკუს ჰიპფლი** (ავსტრია) — შტეფან კუბეკი (5, ავსტრია) 6:5, 6:2; **ფლავიო სარეტა** (ბრაზილია) — ენტონი დუპუი (საფრანგეთი) 6:4, 6:1



# თორთლაძემ ევერესტს ლჰოცზედანაც გახედა

## მანამდე კი კაცი გადაარჩინა

**თბილისელი** მთამსვლელი გია თორთლაძე არაერთხელ მონაწილეობდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე იაპონელი კენ ნოგუჩის მეთაურობით მოწყობილ საერთაშორისო ეკოლოგიურ ექსპედიციებში. ამ იაპონელმა თბილისელ მთამსვლელს წლევანდელი გაზაფხულის ახვლებშიც თავის გუნდში უხმო, ამჯერად ევერესტის გვერდით აღმართულ რვაათასიან ლჰოცზეზე მოწყობილ საერთაშორისო ექსპედიციაში.

სამწუხაროდ, ამ ექსპედიციის შემადგენლობა ისეთი ვერ აღმოჩნდა, რომელიც ლჰოცზეს უმაღლეს წერტილს მიაღწევდა. მეტიც, ერთ-ერთი კორეელი ლამის 7 500 მეტრის სიმაღლეზე დაიღუპა და იგი თორთლაძის დახმარებით გადარჩა.

ლჰოცზეს ფერდობებზე იყო რუსეთის 9-კაციანი ექსპედიციაც, რომელიც ამ მწვერვალის დალაშქვრას ცდილობდა. და რაკი იაპონიის საერთაშორისო ექსპედიცია მიზნის მისაღწევად ამაოდ დაშვრა, თორთლაძემ რუსებთან გადაინაცვლა და მათთან ერთად მწვერვალზეც ავიდა და იქიდან ევერესტსაც გახედა.


ევერესტი (მარცხნივ) და ლჰოცზე





ლევან ცაბაძე „მონფერანით" კმაყოფილია

# ლევან ცაბაძემ სამოთხეში ვარსკვლავები ნახა და რესტორანშიც იქეიფა

*გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ლევან ცაბაძე მონფერანში ჩავიდა, საფრანგეთის საკლუბო გრანდის „მონფერანის" ექიმებს გაესინჯა და მერე ოფიციალურად გააფორმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი. გუშინვე ლევან ცაბაძეს საფრანგეთში რომ დავუკავშირდით, იგი ჯერ კიდევ მონფერანში იმყოფებოდა და გუნდის უფროსობასთან ერთად რესტორანში აღნიშნავდა ქართული რაგბის ისტორიაში ყველაზე სოლიდურ ტრანსფერს.*

— უკვე ნაღდი მონფერანელი ვარ. საათის წინ კონტრაქტი გავაფორმე და ახლა ამას შამპანურით აღვნიშნავთ. ძალიან მიხარია, აქ რომ ვითამაშებ. „მონფერანი" არამარტო ფრანგული, არამედ ევროპული რაგბის გრანდია. აქ მოხვედრაზე ბევრი ვარსკვლავი ოცნებობს. ბედმა გამიღიმა.

**— პირობებიც კარგი გექნება?**

— არ მეგონა, თუ „კასტრის" შემდეგ რამე გამიკვირდებოდა, მაგრამ აქ ნანახმა მართლაც გამაოცა: შესანიშნავი სტადიონი და რამდენიმე სავარჯიშო მოედანი აქვთ, რომლებიც საერთაშორისო მატჩებისთვისაც გამოდგება. ბაზა უმაღლესი სტანდარტებითაა აშენებული და სულ მწვანეშია ჩაფლული. აქვთ საუნა, იქით აუზები, აღდგენითი ოთახები, ტრენაჟორები... ნაღდი სამოთხეა. ჩამოსული არ ვიყავი, სახლი და მანქანა დამახვედრეს. სახლი ორსართულიანია და ქალაქგარეთაა, რაც მთავარია, ბავშვებისთვის სკოლა და მეუღლისთვის მაღაზია ახლოსაა. მანქანა SEAT-ის მოდელია. ეს ესპანური ფირმა კლუბის ერთ-ერთი სპონსორია და მორაგბეებმაც ამ მანქანით უნდა იარონ. საერთოდ კი, კლუბს რამდენიმე სპონსორი ჰყავს და ფინანსურად წელგამართულია.

**— ვინმეს გაცნობა თუ მოასწარი?**

— მარტო გუნდის უფროსების. ერთი ნაბიჯით არ მომშორებიან, სულ თან დამყვებოდნენ. ბაზას რომ ვათვალიერებდი, საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავები ჟერალ მერსერონი, ოლივიე მანი, ტონი მარში და ოლივიე ბრუზე ვარჯიშობდნენ. ვიფიქრე, ახლოს გავიცნობ-მეთქი, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა მანქანაში ჩამსვა და რესტორნისკენ გამაქანა. არაუშავს, თანაგუნდელები გავხდით და მაგათ გაცნობას მერეც მოვასწრებ.

**— „მონფერანში" ვარჯიშს როდის შეუდგები?**

— ახლა ისევ კასტრში უნდა დავბრუნდე. აქ ალბათ აგვისტოში ჩამოვალ. მითხრეს, კარგი იქნება, თუ 5 აგვისტოს შემოგვიერთდებიო. თუ სანაკრებო შეკრება არ იქნება, მეც დათქმულ დღეს შევუერთდები ახალ გუნდს.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი





# ქუთაისი ქალაქია... უკვე სამგზის ჩემპიონი

რამდენი ხანია, ამდენი სიცილი არ გვინახავს. ქუთაისში შარშანაც ზეიმი იყო და შარშანწინაც, მაგრამ ჩემპიონატის ბოლოდღეს მოპოვებულმა გამარჯვებამ სულ სხვა გრძნობები აშალა. ქუთაისი ზეიმობდა და ჩვენ კვლავ დავინახეთ მივიწყებული რამ ერთობა, რომელსაც მხოლოდ ფეხბურთი ახერხებს.

იქ ბევრი რამ იყო, იმ შეხვედრაში, რადგან ნერვებს ძნელად რომ ვინმე დაიოკებდა. იქ ძალიან დიდი იყო გამარჯვების ფასი. იქ იყო სიმწარეც და სხვა ათასიც, რასაც სპორტთან საერთო ცოტა თუ აქვს, მაგრამ მთავარი იყო სიხარული, რადგან ჩვენ მოგვენატრა ეს სახეები.



მოგვენატრა ეს კარიკატურაც, თბილისელთა მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილს რომ წინდაწინვე ალიარებინებდა მარცხს. მოგვენატრა ალალად მოზეიმე ხალხში გასული გუბერნატორიც და უცნობი, უმაისურო მოზეიმენიც. მოგვენატრა ჯარიც, რომელიც ფეხბურთის გამო იცავს წესრიგს და მართლა ბედნიერი ფეხბურთელების, მალხაზ ასათიანისა და ვალერი აბრამიძის ხილვა. მოგვენატრა გმირებით სავსე ავტობუსს ადევნებული ხალხი.

ეს, რაც მოგვენატრა, ქუთაისში მოხდა. ქუთაისი ცოცხლობს. ქუთაისი ქალაქია!







სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge